საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 26 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი [illegible] ყველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ[illegible] და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 244 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 244

ღრმად დამწუხრებულნი დაი ირინე გეგუჩაძის ასული შანიძისა, სიძე იროდიონ იაკობის ძე შანიძე და შვილი ვალოდია შანიძე ღრმა მწუხარებით აუწყებს ნაცნობს და მეგობრებს, რომ კვირას 10 საათზე გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულ

**კოსტა ლევარსის ძე გეგუჩაძის**

სულის მოსახსენებლად ს. ნოლის ეკლესიაში. (2778—1—1)

ევგენია დიმიტრის ასული, ივანე მაქსიმეს ძე, თამარა, ქეთო, დათო და მიტუშა ბოკერიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველისა საყვარელი დის, მეორე ცოლის დისა და დანარჩენების დეიდის

**ვერა დიმიტრი კალანდარიშვილის ასული ხარატიანისა**

გამოსვენება კვირას, 26 ოქტომბერს დილის 10 საათზე არსენალის ქუჩიდან № 11 სომხის ეკლესიაში ვარანცოვთან ღვთისმშობლის ეკლესიაში დასაფლავება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2782—1—1)

ამა წლის 2 ნოემბერს მოხდება

**ლატარიის საჯარო გათამაშება სახელმწიფო თეატრში**

რათა ფართო საზოგადოებას მიეცეს საშუალება დროს დაუკარგველად ბილეთების შეძენისა დღეს 26 ოქტომბერს, მოხდება ლატარიის ბილეთების თფილისის ყველა უბნებში გაყიდვა. გამგეობას ჯერ კიდევ მთლიანად არ დაუკარგავს იმედი, რომ ჩვენი საზოგადოება გამოეხმაურება თვის უნივერსიტეტის და თეატრის ბედს და ბილეთის შეძენით არამც თუ გაუმაგრებს საძირკველს ესოდენ საჭირო დაწესებულებათ, არამედ გაიხსენებს, რომ

1 მოგება 100.000 მანეთია
2 „ 50.000 მან. და სხ.

და რომ ბილეთი მხოლოდ 25 მანეთი ღირს. (6—1—1)

## საფრთხის წინაშე

რესპუბლიკა უდიდეს საფრთხის წინაშე სდგას. თითქმის მთელი მსოფლიო უდიდეს ეკონომიურ და სასურსათო კრიზისს განიცდის. არ არის ევროპის არც ერთი სახელმწიფო, რომ ეს საკითხი მწვავეთ არ იდგეს. ეს უბედურება შედეგია იმ საშინელ გამანადგურებელ საერთაშორისო ომისა, რომელიც მსოფლიო იმპერიალისტებმა და გვირგვინოსნებმა ქვეყანას თავს მოახვიეს. ევროპის ყველა სახელმწიფოები, მეტათ თუ ნაკლებათ, გაჩანაგებულია ომმა შთანთქა საუკუნოებით დაგროვილი დოვლათი. გაანადგურა საწარმოვო ძალები, საშინლათ დასცა წარმოების ნაყოფიერება. ეს ტკივილები კიდევ უფრო გამიზეზდა და გაძლიერდა რუსეთში რევოლუციის შემდეგ და მის გამო. რასაკვირველია, ასეთი ქარიშხალისა და კატაკლიზმების წიაღიდან წარმოშობილი პატარა საქართველოს რესპუბლიკა ვერ ასცდებოდა, ამ საერთო გაჭირვების სფეროს სიძვირისა და სასურსათო კითხვები ვერ გადასჭრა ევროპის თვით უძლიერესმა სახელმწიფოებმა. რა გასაკვირველია, რომ ვერ გადიჭრებოდა ეს მტკივანი კითხვები საქართველოში. თანამედროვე მსოფლიო თითქოს ერთ ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს, ყველა მისი ნაწილებისა, ყველა სახელმწიფოთა ბედი ეკონომიურად ერთი მეორეზეა გადაჯაჭვული და დამოკიდებული. დღევანდელი მდგომარეობა ამ ორგანიზმის, განსაკუთრებით ევროპის საერთო ავატმყოფობაა. მსოფლიო ორგანიზმი დაავადებულია, საერთაშორისო პოლიტიკური ძაფები დაწყვეტილი და დახლართულია, მსოფლიო მეურნეობა მოშლილია. მსოფლიოს არც ერთ ნაწილს, არც ერთ სახელმწიფოს დამოუკიდებლათ საკუთარის ძალითა და პოლიტიკით არ შეუძლია სავსებით გაჯანსაღდეს. დღევანდელი ავადმყოფობა მსოფლიოს მთელმა ორგანიზმმა უნდა გადაიტანოს, თითეული ნაწილის ტკივილი, ეს მთელის ტკივილია. მართალია, ამ ორგანიზმის ზოგი ნაწილები უფრო მწვავეთ გრძნობენ ამ ტკივილს, ეს აიხსნება საერთაშორისო ეკონომიურ და სხვა გარეშე-ობიექტიურ პირობებით. ძნელად მოიპოვება ისეთი კუთხე ქვეყანაზე, რომ ეს გარეშე, მასზე დამოუკიდებელი, პირობები უფრო ცუდი ქონდეს, ვიდრე ახლად წარმოშობილ საქართველოს რესპუბლიკას. ამისდა მიუხედავად თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის შინაგანი მდგომარეობა კიდევ ბევრს, ბევრით სჯობია.

რასაკვირველია, ჩვენ თავს იმით ვერ დავიმშვიდებთ, რომ ჩვენზე უარეს დმგომარეობაშიც ბევრნი არიან. ვერც იმას ვიტყვით, რომ, რადგან დღევანდელი ტკივილები მთელი მსოფლიოს ეკონომიური დაავადების შედეგია, ამიტომ ჩვენ გულზე ხელ დაკრეფით უცადოთ, სანამ მთელი ორგანიზმი კრიზისს არ გადიტანს და მასთან ერთათ ჩვენც განვიკურნებით.

წელს ჩვენი ქვეყანა უდიდეს საფრთხის წინაშე სდგას. საქართველოს რესპუბლიკა, ეს პირველ ყოვლისა სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ჩვენი ეკონომიური ძარღვი ეს მიწის მოსავალია. ხოლო წელს კი რესპუბლიკას პირდაპირ უბედურება ეწვია—სოფლურ საქართველოში სოფლის მოსავალი ნახევარიც არ მოვიდა. დამწვარს მდუღარე დაესხა.

აი როგორი საფრთხის, როგორი საშიშროების წინაშე სდგას მთელი რესპუბლიკა, თუ გნებავთ, მისი არსებობაც კი. რომ ეს უდიდესი კითხვაა, უდიდესი საშიშროებაა, ამას მტკიცება არ უნდა. რასაკვირველია, აქედან ის კი არ გამომდინარეობს, რომ სასო წარვიკვეთოთ და ერემიის გოდებას მოვყვეთ. მდგომარეობა გვავალებს გავაასკეცოთ ჩვენი ენერგია, ამ საშინელ დაბრკოლების გადასალახავად. ეხლავ, დაუყონებლივ, შევუდგეთ მარაგს, თადარიგს.

ეს უდიდესი და, თუ გნებავთ, ბედის გადამწყვეტი კითხვაა. ეს რესპუბლიკის მოქმედების პირველ რიგში უნდა დაისვას დღესვე, დაუყონებლივ. უნდა სასწრაფოთ მოხმობილ იქნას დემოკრატიის მთელი შემოქმედებითი ენერგია, ერის მთელი ძალები. დამფუძნებელი კრება და მთავრობა, ერობა და ქალაქი, კოოპერაცია და კერძო აპარატი, პროფესიონალური კავშირები და პოლიტიკური ორგანიზაციები, სახელმწიფო მოხელე და კერძო მოქალაქე. ყველა და ყველაფერი ეხლავ ფეხზე უნდა დადგეს, რომ საერთო ღონით ძლეულ იქნას მომავალი საფრთხე. ეს რესპუბლიკის მთელი ერის არსებობის კითხვაა, აქ პოლიტიკური ჯიბრი და პარტიული ანგარიში მომაკვდინებელი ცოდვაა. თუ ამ საფრთხის შიშით თითოეულმა მოქალაქემ გადასწყვიტა კერძო თავის თავის შველა, ის ვერც თავს უშველის და ქვეყანას დაღუპავს. საქმეს მხოლოდ ის ტაქტიკა უშველის, რომელიც მთელს რესპუბლიკას ეკონომიურათ ერთ მტკიცე ოჯახათ გარდაქმნის. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის. ამ დიდი საფრთხის წინაშე ერთათ დგომა, საერთო პასუხისგება—ასეთი უნდა იქნეს ჩვენი გზა.

## მუშათა საკითხი

მუშათა მდგომარეობა ჩვენში სისტემატიურათ რთულდება. ჩვენ ვერ დაგვჩაგრა გარეშე მტერმა, ხმალ ამოწვდილი რომ გვადგა კარს, ჩვენ ვერ გაგვტეხა შინ შემოჭრილმა ანარქიამ, ყველაფერი სძლია ჩვენი დემოკრატიის ენერგიულმა და შეგნებულმა მოქმედებამ. მაგრამ ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება—უფრო ძნელი და რთული პრობლემა გამოდგა, ვინემ პოლიტიკის წარმოება და მტრის წინაამდეგ ძარალით შეტევა. გარეშე და შინაური სპეკულიანტები—ეს უძირო ჯიბეების გმირები—სისტემატიურათ აუარესებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას.

მუშათა ხელფასი სისტემატიურათ ეცემა თავის რეალურ ღირებულებით. და ნომინალური მომატება ჯამაგირისა, ახალ მოგების წყაროთ იქცევა გალაღებულ ვაჭარ-მრეწველთათვის, ხოლო სამარეს უმზადებს ჩვენს რესპუბლიკას.

მუშათა ორგანიზაციებმა ადრე შეიგნეს ეს, მაგრამ განა შეეძლოთ მათ დღემდე რაიმე რეალური ღონისძიების მიღება ამის წინაამდეგ?

ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი ღონისძიება თითქმის შეუძლებელი იყო. ბალშევიკურათ წარმოების სრული დარბევისა და განადგურებისა სხვა გზა არ გვქონდა დღემდე. არ გვქონდა იმიტომ, რომ ჩვენს პატარა ქვეყანას ყოველი მხრით ბლოკადა ჰქონდა შემორტყმული. არც რუსეთში, არც ევროპის ქვეყნებში გზა არ არსებობდა, შეკრული იყო.

მხოლოდ ამ რამდენიმე თვის წინათ გახდა შესაძლებელი რამდენიმეთ თავისუფალი მიმოსვლა, ისიც მხოლოდ შორეულ ევროპასთან. მახლობელ რუსეთის ქვეყნები კი დღესაც დახშულია. ამით ჩვენი ეკონომიური ძაფები რუსეთთან დაწყდა. ახალი ძაფები ევროპასთან ჯერ კიდევ ვერ გაბმულა და ეს გარდამავალი ხანა მძიმე ლოდათ აწვება ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას.

მიუხედავათ ამისა დღეს მაინც შეიძლება ერთგვარი ზრუნვა მუშათა მდგომარეობაზე და ამ გზას კიდეც დაადგა მუშათა კლასის ხელმძღვანელი ორგანოები. მთავრობამ 50 მილიონი გადასდო მუშებისთვის საჭირო სურსათსანოვაგის იაფ-ფასებში მისაწოდებლათ. ეს პირველი ნაბიჯია რეალური ხელფასის გასაზრდელათ და მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მაგრამ ეს რთული და საპასუხისმგებლო საქმე ორ დღეში არ მოეწყობა. ზამთარი და გაჭირვება კი კარზე გვადგია.

აქედან ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია დღესვე ამ 50 მილიონის გადადებით დავკმაყოფილდეთ და მომავალ იმედებით სადღესოთ ზრუნვაზე ხელი ავიღოთ.

პირიქით, დღეს მაინც საჭიროა რაიმე გამოსავლის პოვნა, თუნდ ერთი ორი თვით მუშათა დასულთქმება, მათთვის ოდნავ მაინც საშუალების მიცემა საზამთროთ მოემზადონ.

ამისთვის კი ერთათ ერთი გზა გვაქვს. ან ავანსების მიცემა, ან ხელფასის მომატება. მართალია, ეს ხელფასის მომატება ერთხელ კიდევ დაატრიალებს იმ უკუღმართ რგოლს, რომელსაც სანოვაგის გაძვირება მოყვება, მაგრამ სანამ გაძვირება ფაქტი გახდებოდეს, მუშებს შეეძლებათ ერთი წუთით მაინც ამოისუნთქონ.

ამიტომ ჩვენ მიუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია მუშათა ხელფასის გადიდება—ეს პოლიტიური და ეკონომიური ცხოვრებისათვის არა სასარგებლო ზომაც იქნეს დაუყონებლივ მიღებული. მართალია ამით სახელმწიფოს მდგომარეობა რამდენიმეთ გაუარესდება, მაგრამ სჯობია სახელმწიფომ იზარალოს, ვინემ მუშათა უკიდურესი მდგომარეობა კატასტროფიულათ იქცეს და ჩვენ საშინელი ვულკანისებური ამოხეთქის წინაშე დაგვაყენოს.

დღემდე, ვიმეორებ ზრუნვაც ძნელი იყო სხვა გზით მუშებზე. არც პური და არც მანუფაქტურა არ შემოდიოდა, დღეს შეიძლება ამ საქონლის შოვნა. შეიძლება სახელმწიფომ იზრუნოს იმაზე, რომ ვაჭრობის მთავარი ძალები მიმართოს სწორედ მასიური საგნების გამრავლებისაკენ.

მხოლოდ ამ გზით თუ დაედება რამდენიმეთ მაინც მალამო მუშათა ცხოვრებას. უკიდურესი გაჭირვებაა მუშათა უბნებში, შიმშილი, სიტიტვლე მეფობს იქ, საიდანაც ჩვენ დემოკრატიული წყობილების სხივი მოგვეფინა.

მაგრამ ჩვენი მაღალი საზოგადოება ამაზე არ ფიქრობს. სპეკულიანტთა ბაზარი—მილიონებს ატრიალებს მათ სიღარიბის და სიტიტვლის ნიადაგზე. ასეთი განსხვავება მდიდრებს და ღარიბებს შორის, ასეთი ღრმა უფსკრული კაპიტალისტ კლასის და მუშათა შორის არასოდეს არ ყოფილა ჩვენში. ახლა ისინი უკიდურეს პოლიუსებათ იქცენ, ერთი მეორეს უმეშველოთ დაუპირდაპირდენ. შუათანა წრეები თითქმის მოისპო. ფეოდალური ნაწილები გაქრა. მუშა და ხაზეინი პირისპირ დგანან და თუ ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელთა ინტერესებზე მეტი მზრუნველობა და ყურადღება არ იქნა მიპყრობილი, ადვილათ შეიძლება ოხრათ ჩაიაროს მრავალ წლის დაგროვილმა ქონებამ და თვით რესპუბლიკაც ზედ გადაყვეს მოსალოდნელ კატასტროფას. მუშათა მდგომარეობაზე ზრუნვა—აი მორიგი, გადაუვალი, მიუცილებელი ამოცანა, რომელიც სფინქსისავით გამოცნობას თხოულობს, არა და შთანთქმას გვიპირებს. შრომის დაფასება, მათი უზრუნველყოფა ერთათერთი საფუძველია ჩვენი რესპუბლიკის გამაგრების და ჩვენი თვითარსებობის შენარჩუნების. **მთელი ენერგია—მუშათა დაკმაყოფილებლათ!**

## პრესა

„აშხატავორი" (№ 225) თავის მეთაურში ეხება მანდატის საკითხს და სწერს შემდეგს:

„დამოუკიდებელ სომხეთის არსებობა უკვე გადაჭრილი საკითხია დიპლომატიურ სფეროებში, რჩება მხოლოდ მისი საზღვრების გამორკვევა და შემდეგ ხალხთა ლიგის განწყობილების თანახმად უნდა გამოირკვას ის სახელმწიფო, რომელმაც უნდა შემწეობა გაუწიოს მას.

„საერთო განწყობილება იმისთანაა, რომ მოკავშირე სახელმწიფოთაგან მარტო ამერიკაა, რომელიც შესძლებს ამ მანდატის ასრულებას. და ამერიკის სენატის მიერ ხალხთა ლიგის კანონების დადასტურება ფანტავს იმ შიშს, ვითომ ამერიკა საერთოდ უარს იტყვის რომელიმე მანდატის აღებაზეო. ახლა იბადება საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს ეს მანდატი. საქმე იმაშია, რომ პირველად ოსმალეთს უნდა ამერიკის მანდატის მიღება იმ მიზნით, რომ გადაარჩინოს ოსმალეთი დანაწილებას. შემდეგ მანდატს საჭიროებენ აგრეთვე ამიერ კავკასიის რესპუბლიკები და რადგან მათი მანდატების საკითხს აშკარა შეჯიბრება ემჩნევა, ბევრი გულისხმობს, რომ ეს მანდატი მიეცემა ამერიკას.

„რასაკვირველია, ამერიკულ კაპიტალის ინტერესების თვალსაზრისით ხელსაყრელია მის მოღვაწეობის ასპარეზად გახდეს ერთი დიდი სივრცე ხმელთა შუა ზღვიდან მარმარილოს ზღვამდე, მაგრამ, ვაი თუ ისეთივე სასარგებლო არ იყოს ეს იმ ხალხებისთვის, რომლების მფარველობა უნდა გასწიოს ამერიკამ.

„უკეთუ მფარველ სახელმწიფოთა მოვალეობაა, დაეხმაროს თვითგამორკვეულ ერებს პოლიტიკურ და ეკონომიურ მოწყობაში, მაშინ ცხადია, რომ მთელი რიგი სახელმწიფოთა შესახებ მიღებული ერთნაირი მოვალეობანი არასდროს დადებით შედეგებს არ მოიტანს. ძნელი იქნება ობიექტიურათ მათი საზღვრების გამორკვევა, გასაჯვა და უზრუნველყოფა მათი თავისებური ეროვნულ-ეკონომიური ინტერესებისა. რამდენი კეთილ სურვილებითაც არ უნდა იყვნენ აღჭურვილნი ახლო აღმოსავლეთის ხალხები, მათშიაც ეკონომიური შეჯიბრება აუცილებელია. მანდატის მქონი სახელმწიფო, რომელსაც პირველ რიგში აქვს თავისი საკუთარი ინტერესები, ძალიან ხშირად გაუძნელდება ამ საკითხების გადაჭრა და საბაბად გახდება ან ამ ან იმ ხალხის უკმაყოფილობისა. ამ თვალსაზრისით არადროს სასურველო არ არის იმისთანა მანდატი, რომელსაც ასე თუ ისე შეეძლება ხელახლად მიაბას სომხეთი ოსმალეთს, რომლის მთელი პოლიტიკის მიზანი მუდამ ყოფილა აღგვა სომხის ერისა პირისაგან ქვეყნისა".

## სახელმწიფო და თვითმართველობანი სასურ. კრიზისთან ბრძოლაში

იმ ეკონომიურ კრიზისში, რომელსაც განიცდის დღეს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოები, თვალსაჩინო ადგილი უჭირია პირველ მოთხოვნილების საგნების სიმცირეს, ე. წ. სასურსათო კრიზისს.

უკანასკნელს აქვს ღრმა მიზეზები, რომლებიც ნაკლებათ არიან დამოკიდებულნი ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიურ პოლიტიკაზე. იგი წარმოშვა საერთაშორისო ომმა და მის მიერ გამოწვეულმა სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობათა დარღვევამ.

ომმა მოსთხოვა მეომარ სახელმწიფოებს აუარებელი ხარჯები, რომელთა ჩვეულებრივი მშვიდობიანი წლების შემოსავლებით დაფარვა შეუძლებელი გახდა. საერთოდ შილებულია ეკონომიურ მოძღვრებაში თვითეული ქვეყნის წლიური ნაწარმოების მთელი ჯამის ოთხ კატეგორიათ დაყოფა: პირველი აანაზღაურებს მონახმარს წლის განმავლობაში საწარმოვო იარაღებს, მეორე—ხამუშაო ქირის სახით ევსახურება იმ მიზანს, რომ მუშათა კლასმა არ დაკარგოს შრომის უნარი; მესამე იხმარება თვით კაპიტალისტების მიერ და მეოთხე შეიცავს დაგროვითი ფონდს (фондъ накопленія) კაპიტალისტებისათვის.

სესხის სახით შესაძლებელი ხდება სახალხო დაგროვის ფონდიდან თანხის ამოწურვა, მაგრამ შეუძლებელია მოხმარის ფონდიდან ასეთივე წესით თანხის მიღება.

გადასახადი ერთი გზაა მცირეოდენი თანხის მისაღებათ, მაგრამ ის ვერ აღწევს მიზანს, რადგან ხშირი იყო შემთხვევა, როცა ომის ყოველდღიური ხარჯები ასეულ მილიონებს აღემატებოდა. აქ სახელმწიფო ძალაუნებურათ იძულებულია მიმართოს ფულის საბეჭდ მანქანას. მაგრამ ქაღალდის ფულის გადაჭარბებულ გამოშვებას ერთი უარყოფითი თვისება აქვს, როდესაც მისი რაოდენობა გადასცილდება განსაზღვრულ ნორმას, რომელიც აღემატება ტრიალის საჭიროებას. ფულის ფაქტიური ღირებულება თანდათან შორდება მის ნომინალური ღირებულებას. და ეს კვანძი, რაც დრო მიდის, მით უფრო და უფრო იხლართება, ვინაიდან ეს ქაღალდის ფული და სესხები იხარჯება არა-საწარმოვო მიზნებით. გამოშვებული მილიონები ჰაერში დაიწვა ყუმბარების და პატრონების სახით, ან ოკეანეს უფსკრულში გადაყრილ იქნა ჩაძირულ დრედნოუტების სახით და მოხმარდა გამოსაკვებათ ჯარს ე. ი. მცხოვრებთა იმ კატეგორიას, რომელნიც მხოლოდ ამ სხვის ხელით ნაწარმოებ ღირებულებას ანადგურებდენ, თორემ თვითონ არავითარი ეკვივალენტს მონახმარი ღირებულებათა აღარ ქმნიდენ.

ამ გარემოებამ საერთო დავალიანებასთან ერთად შეარყია საერთაშორისო კრედიტი, ეს საფუძველი ნორმალური გაცვლა გამოცვლისა და ხელი შეუწყო არა თანაბარი გადაჯგუფების ღირებულებათა.

პარალელურად ამასთან მიმდინარე სხვადასხვაგვარი მობილიზაციებმა ეკონომიური არევ-დარევა კიდევ უფრო გააღრმავა: ერთი მხრით ეს იყო მრავალ ჯან-ღონით სავსე მუშა ხელის მოწყვეტა სოფლის მეურნეობიდან და ინდუსტრიიდან. შემდეგ სოფლის მეურნეობის საწარმოვო იარაღების პერიოდიული მობილიზაცია, რამაც სოფლის მეურნეობა დარჩენილი ინვენტაროთ, ცხენების, ხარების და სხ. ძლიერ დასცა, ამას ზედ დაერთო ინდუსტრიის მობილიზაცია, რის წყალობით მრავალი ფაბრიკა ქარხნები, რომლებიც წინათ მშვიდობიან დროის საჭიროებას აკმაყოფილებდენ გადავიდენ სამხედრო საჭიროების ნივთების მზადებაზე. შემდეგ, მილიონიანი ჯარები, რომლებიც, როგორც თავისი წინსვლელობის, ისე უკან დახევის დროს სამხედრო მოსაზრებით ანადგურებდენ ყოველივე წარმოებას, გზებს, და სხვა.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მსოფლიო ბაზრის ნორმალური განვითარების ერთ აუცილებელი პირობათაგანი იყო საზღვაო და რკინის გზის ტრანსპორტი. ს ზღვაო ბლოკადამ საბოლოვოდ შეარყია ზღვის ტრანსპორტი, ხმელეთზეც ომმა იგივე მოიმოქმედა რკინის გზის და გზატკეცილის ტრანსპორტზე.

ყველა ჩამოთვლილი მიზეზები ხელს უწყობდენ საქონლის შემცირებას ბაზარზე, რამაც დაბადა სპეკულიაცია—ეს კომერციის არა ჯანმრთელი სუროგატი, რომელიც დროთა ვითარებაში შეიქმნა მნიშვნელოვან ფაქტორათ წარმოების და ვაჭრობის დანგრევაში. ამ მიზეზებს ზედ დაერთო რევოლიუციონური მოძრაობანი, რომლებიც ზოგიერთ ქვეყნებში, როგორც მაგ. რუსეთში ანარქიათ იქცენ. ამ ანარქიას მოყვა ის, რომ უდიდესი ქვეყანა, რომელიც აპურებდა ევროპის მცხოვრებთა დიდს ნაწილს, თვითონ შიმშილისაგან იხოცება და დაუსრულებელ სამოქალაქო ომშია, ჩათრეულია. ამით ევროპის წონასწორობის აღდგენის საქმე კიდევ უფრო დაიხლართა და ის ნაბიჯები, რომელსაც ანტანტის სახელმწიფონი მიმართავენ ამ მხრით საქმის ვითომ გამოსაკეთებლათ, ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. ის ტენდენცია შრომის ნაყოფიერების დაცემისა, რომელიც ემჩნეოდა რევოლიუციის დროს, დღეს თვალსაჩინო გახდა და ზოგიერთ შემთხვევებში იქნობამდი მივიდა, რომ გადაჭარბებულ შრომის ხელფასის ზრდასთან გამოიწვია ზოგიერთი საწარმოვო დაწესებულებათა სიკვდილი.

აჲ, ჩვენის აზრით ის უმთავრესი მიზეზები, რომლებმაც დააყენეს მსოფლიო საშინელი კრიზისის წინაშე.

აქედან ცხადია, თუ რამდენად მისაღებია იმ არა მკითხე მეამბეთა დარიგებანი შესახებ თავისუფალი ვაჭრობის და ეკონომიური ძალების თავისუფალი თამაშისა. ამ ჯურის ხალხის გულის ზრახვანი ქართველი დემოკრატიისათვის უნდა იყოს ცხადი. ეს იდეოლოგია, რომელიც ცხოვრების სინამდვილესთან პირველ დაჯახებისთანავე ინგრევა—არის იდეოლოგია ამ ომში მოღონიერებულ კომერციის სუროგატის წარმომადგენლების—სპეკულიანტების, მაგრამ სამწუხაროდ ამ თავაშვებულ სპეკულიანტების განგაშმა მოწამლა ზოგიერთი დემოკრატიისათვის კეთილ მოსურნე პირებიც.

ჩვენ თავიდანავე დავადექით სწორ გზას. ეს იყო იძულებითი მოწესრიგება ეკონომიური ძალებისა.

ჩვენ აქ ვხელმძღვანელობდით დასავლეთ მეომარ ევროპის მაგალითით, განსაკუთრებით გერმანიის, მაგრამ ეს იყო რუსეთის რევოლიუციის გაზაფხულზეროცა გვაკლდა გამოცდილება. პოლიტიკური მდგომარეობა გაურკვეველი იყო. არ გვქონდა ტრადიცია დემოკრატიულ აშენებლობისა. არ არსებობდენ მტკიცე ნიადაგზე დაყენებული ადგილობრივი თვითმართველობანი და დემოკრატიის ფართე მასაში კიდევ მაგრათ ჰქონდა გადგმული ძველი ბიუროკრატიისაგან შეთვისებულ ადათებს. მასში ძლიერი იყო უდისციპლინობა და მოქალაქეობრივი შემეცნების უქონლობა. ის ვერ გაყრია იმ ყალბ შეხედულებას მთავრობაზე, რომელიც მას უანდერძა პოლიციურმა ბიუროკრატიამ.

სასურსათო კომიტეტებმა ადგილობრივ თვითმართველობების უქონლობის დროს და გამოურკვეველი პოლიტიკური ვითარებასთან ერთად ცხადია ვერ გაამართლეს ის ფართე იმედები, რომლებსაც მათზე ამყარებდენ. მათი გაუქმების შემდეგ იწყება ჩვენში გეზის მიმართვა თავისუფალი ვაჭრობისაკენ, რომელიც საუბედუროთ დღესაც პოულობს მომხრეებს. მაგრამ ამ პოლიტიკასთან პარალელურად სწარმოებდა თვითმართველობათა ორგანიზაციის პროცესი ბაზრის და სოფლის, რომლებმაც დღიდან თავის გაჩენისა განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეს სწორეთ ამ საქმეს. და უნდა ითქვას სიმართლე, რომ მიუხედავათ მრავალი დეფექტებისა, მათ მაინც გაცილებით მეტის გაკეთება შესძლეს, ვინემ ყველა რწმუნებულმა, საქონლის გამცვლელ კომიტეტებმა და მათგვარმა ორგანიზაციებმა თუ კომიტეტებმა.

რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენ-

# დღეს

გერმანია სცდილობს მოკავშირეთაგან ნებართვა მიიღოს რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის განსაახლებლად.

ხენის დეპარტამენტის პროფ. კავშირების საბჭომ პროტესტი გამოსთქვა საბჭოთა რუსეთის საქმეებში საფრანგეთის ჩარევის გამო.

ბელგიის ჯარის მიერ დაპყრობილ ოლქებში გაფიცვები იზრდება.

უკრაინაში ალაგ-ალაგ გლეხთა აჯანყებაა.

წითელმა ჯარმა აილო ქ. ვორონეჟი.

პეტროგრადთან წითელი ჯარი იმარჯვებს: მან მტერს წაართვა პავლოვსკი და დეტსკოე სელო და შეტევას განაგრძობს.

ტობოლის რაიონში წითელმა ჯარმა ამას წინად წართმეული ტობოლსკი ისევ აილო.

ქ. ელიზავეტგრადი მახნომ აილო.

ლების მე 2 ყრილობაზე ადგილებიდან წარმოდგენილ მოხსენებებიდან ჩანდა, რომ თითქმის ყველა ერობებს ეს აპარატი მოუწყვია

მარა დღეს იწყება ისევ ექსპერიმენტების განმეორებანი, რომელიც უქადის მოწყობილ ორგანიზაციას სულ თუ არა ნაწილობრივ დაშლას მაინც. ჩვენი ღრმა რწმენით ვერავითარი სადი მოსაზრება ამ პოლიტიკას ვერ გაამართლებს.

სასურსათო კრიზისთან საჭიროა ბრძოლა, მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ ერთი დებულება, რომელიც დღეს უდავოთ არის ცნობილი ყოველი დემოკრატისათვის: ამ დარგში თვითმართველობებს ფართე უფლებები უნდა მიენიჭოს და საშუალება მიეცეს მათ გაერთიანებისა თავისი მოქმედების შესათანხმებლათ და საერთო ზომების გამოსამუშავებლათ.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ჩვენის აზრით, გაცილებით მეტს სარგებლობას მოუტანს რესპუბლიკას ამ გზით, ვინემ ნებართვების წერით სპეკულიანტების სასარგებლოთ. სხვა გზა არ იცის არც დასავლეთის სინამდვილემ არც რუსეთის.

სასურსათო პოლიტიკის და საერთო ეკონომიური პოლიტიკის წარმოება დემოკრატიულ რესპუბლიკაში სხვანაირათ წარმოუდგენელია.

მ. ც—შვილი.

## დამფუძნებელი კრება

24 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

გრ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა: სახელმწიფო ხაზინიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში და ყუბანში დელეგაციის გასაგზავნ ხარჯისათვის 3 მილიონი მან. გაღებისა და ფოთლოვან თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამომრიგებლო ინსტიტუტის ახალ დაწესებულებათათვის ავეჯეულობის შესაძენათ 709,220 მან. გადადების შესახებ

ივ. ჰავჰანიძის მოხსენებით დასრულებულ იქნა მუხლობრივი განხილვა საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებისა და წესდება უმნიშვნელო შესწორებებით მიღებულ იქნა.

ს. ჯაფარიძის მოხსენებით მუხლობრივათ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი 1915 წ. თებერვლის 2-ს კანონის (გერმანელთა, ავსტრო-უნგრელთა და ოსმალეთისათვის უძრავი საკუთრების შეძენის აკრძალვისა) გაუქმების შესახებ.

ეროვ დემ წინადადება.

გ. გვაზავა ასაბუთებს ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის წინადადებას, იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო კომისიას დაევალოს ერთი თვის განმავლობაში წარმოუდგინოს დამფუძნებელ კრებას განსახილველად კონსტიტუციის კანონპროექტი. ორატორი ამბობს, რომ უკვე 7 თვეა, რაც ჩვენი კომისია მუშაობს და დღემდე ვერ წარმოგვიდგინა კონსტიტუცია, ხოლო გერმანიაში 5 თვეში შესძლეს კონსტიტუციის გამომუშავება და მიღებაო. ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობისათვის საჭიროა, რომ საკონსტიტუციო კომისიამ დააჩქაროს თავისი მუშაობა და ერთი თვის განმავლობაში წარმოგვიდგინოს კონსტიტუციის პროექტიო.

საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე რ. არსენიძე შემდეგ განმარტებას იძლევა: მე არ შევეხები იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობისათვის კონსტიტუციის მიღებას, მე ამ ჟამათ მინდა მხოლოდ გამოვსთქვა აზრი იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაშია ეს საკითხი: კონსტიტუციის დამუშავება დამფუძნებელ კრების მოწვევამდე სწარმოებდა. ჯერ კიდევ ეროვნული საბჭოს და პარლამენტის დროს განსაკუთრებული კომისია იმუშავებდა კონსტიტუციას და დამფუძნებელი კრების მოწვევამდე შეიმუშავა კიდევაც ერთგვარი კონსტიტუცია დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია შეუდგა ამ პროექტის გადამუშავებას, რათა გადაშინჯვის შემდეგ თვითონ წარმოედგინა სათანადო პროექტი. ამ მხრით დამფუძნებელი კრების გახსნიდანვე დიდი მუშაობა სწარმოებდა და დღესაც სწარმოებს, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ავღნიშნო, რომ ჩვენ ამ საკითხის, როგორც სხვა ბევრი საკითხების სპეციალისტები არ გვყავს, რომლებსაც შეეძლოთ საფუძვლიანი დახმარების აღმოჩენა. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით შინაური ძალებით მოგვეგვარებია ეს საკითხი. მუშაობა სწარმოებდა და სწარმოებს, როგორც მოგახსენეთ დღესაც, მაგრამ, რადგანაც კომისიაში მომუშავე დეპუტატები ბევრი სხვა საქმეებითაც იყვნენ დატვირთულნი, ასე სისწრაფით კონსტიტუციის გამომუშავება შეუძლებელი იყო. ევროპაში თუ 5 თვე მოანდომეს ამ საკითხს, ჩვენ რომ ორჯერ მეტი დრო მოვანდომოთ, ეს სახელის გამტეხი არ იქნება არც ჩვენთვის და არც ჩვენი კულტურისათვის, რადგანაც, როგორც იცით გერმანია დიდათ მაღლა სდგას ჩვენზე სპეციალისტებით და საქმის მცოდნე ხალხით. მიუხედავათ ამისა, მე იმედი მაქვს რომ კომისია თავის მუშაობას მალე დაასრულებს. უმთავრესი საკითხები უკვე გადაჭრილია, დარჩა მეორე ხარისხოვანი საკითხები, რომლებსაც ამ ახლო მომავალში გადავჭრით, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში მაინც ვერ შევძლებთ წამოვუდგინოთ დამფუძნებელ კრებას, ეს უბრალო დეკრეტი კი არ არის, რომ ნაჩქარევათ შევიმუშაოთ და მივიღოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ როდესაც სავსებით შევიმუშავებთ პროექტს, დავბეჭდავთ მას, და ყველას საშუალება მიეცემა მის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვას პრესაში და იქ, სადაც ეს მოსახერხებელი იქნება. ამ რიგათ დამუშავებულ კონსტიტუციას შემდეგ წარმოუდგენთ დამფუძნებელ კრებას. მე მოვითხოვ, რომ ვადა პროექტის წარმოდგენისა არ იქნეს განსაზღვრული.

ეროვნულ დემოკრატების წინადადება უარყოფილ იქნა.

## უკანასკნელი ხნოზები

განხეთქილება ბაქოელ მენშევიკებში.

23 ოქტომბერს, „რევოლიუციონურ სოციალ დემოკრატების“ ჯგუფმა გამოუშვა მოწოდება ბაქოს მუშათა მიმართ, სადაც ისინი აცხადებენ, რომ ისინი გამოეყვნენ პარტიას და აარსებენ ახალ სოციალისტურ ორგანიზაციას. ეს განხეთქილება დიდი ხანია მზადდებოდა, მაგრამ დამალულ იყო პარტიაში. გამოყოფილი „რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატები“ თავის მოწოდებაში კიცხავენ მენშევიკების კომიტეტს „რომლებიც ქართველ მენშევიკებს კუდში მისდევს“. მოწოდების ავტორები არ კმაყოფილდებიან ამით და მოუწოდებენ ყველა ამხანაგებს ებრძოლონ არსებულ კომიტეტს, რითაც ბოლო მოეღება პარტიულ დემორალიზაციასო. („აზ.“).

## ჟურნალ-გაზეთებიდან

„ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა თავგადასავალი“

ამ სათაურით რუს შავრაზმელების გაზეთ „ზარია როსსიი“-ს (დონის როსტოვში გამოდის) მეოცდა ათე ნომერში (22 ოქტ. თარიღით) მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„უკანასკნელ დროს ამიერ კავკასიიდან მოდის შემაძრწუნებელი ცნობები, საიდანაც აშკარად ჩანს ის ყოვლად დაუშვებელი დამოკიდებულება, რომელსაც ამიერ კავკასიის რესპუბლიკები იჩენენ მოხალისეთა ჯარის მიმართ. რუს სააგენტოსი და ჩვენი კორესპონდენტების დეპეშები გვიხატავენ მთელ სისაძაგლეს ამიერ-კავკასიის „სამოზვანეცი“ რესპუბლიკებისას: ადერბეიჯანის მთავრობა უგზავნის „საჩქარო ნოტებს“ უმაღლეს კომისარს პოლკ. ჰასკელს, სადაც მოითხოვს გადატანილ იქნას სამხრეთით მოხალისეთა ჯარის სადემორკაციო ხაზი.

„ადერბეიჯანის მილიცია ხსნის რუსულ დროშებს ბაქოში ჩვენ სავაჭრო გემებიდან. საქართველოს მთავრობას კავშირი აქვს ასტრახანთან.

„მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი გენ. ბარათოვი ბოროტი ხელის მოქმედებით ლოგინში წევს

„ინგლისის ჯარის ამიერ კავკასიიდან გასვლამ, რესპუბლიკის ფინანსიურმა კრახმა, უკანასკნელმა გამარჯვებამ მოხალისეთა ჯარის, აიძულა საქართველო და ადერბეიჯანი მეგობრულად გაეწოდებინათ ერთმანეთისთვის მარჯვენა ხელები. ამავე დროს კი მარცხენა ხელით მოწყალებას ურიგებენ კავკავიდან და შავი ზღვის მიდამოებიდან ჩამოსულ ბოლშევიკებს.

„დაღესტნის აჯანყებას გერმანელები სა და ოსმალეთის ოფიცრები მეთაურობენ. დიდი პოლიტიკოსობა არ უნდა იმის დანახვას, თუ ვინ ხელმძღვანელობს ამიერ კავკასიის მცირე რიცხოვან რესპუბლიკებს მომავალში კეთილდღეობის შესაქმნელად.

„რუსეთის რევოლიუცია საჭირო იყო არა რუსის ხალხისთვის, არამედ გერმანიისათვის. იმ დროს, როცა მოხალისეთა ჯარი მიდის სამხრეთით, რომ გასწმინდოს ტროცკი-ბრონშტეინის „ჩრეზვიჩაიკების“ ძალადობისაგან დატანჯული რუსეთი, გერმანია და მისი მონა ოსმალეთი სცდილობენ განაპირეებში აჯანყებანი მოაწყონ და ზურგში დანა ჩასცენ მოხალისეთა ჯარს.

„საქართველომ და კავკასიის თათრებმა, რომლებიც მუდამ განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდენ რუსეთისაგან, ეხლა ყოველივე სიკეთე დაივიწყეს.

„ვიმედოვნებთ, რომ მოკავშირენი, რომელთაც თავიანთი წარმომადგენელი ჰყავთ ამიერ-კავკასიაში, ყოველივე ზომებს მიიღებენ და ნებას არ მისცემენ ისეთი შემთხვევების მოხდენისას, რომელნიც სისხლს გამოიწვევს აღორძინებულ რუსეთის განაპირა ქვეყნებში“.

ზანგეზურის გარშემო.

ჩვენ მოთავსებული გვქონდა გაზეთ „აზერბეიჯანის“ აზრი ზანგეზურის შესახებ. ეხლა „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის ერევნის ცენტრალურ კომიტეტის ორგანო „არაჩი“ ეხება იმავე, ზანგეზურის, საკითხს და სწერს შემდეგს:

„აზერბეიჯანის ინტრიგა ზანგეზურის ირგვლივ აქტიურ ხასიათს ღებულობს და საფრთხეს უმზადებს, როგორც ორივე სახელმწიფოს ურთი ერთ დამოკიდებულებას, ისე ყარაბაღისა და ზანგეზურის სომეხ თათართა მასსას.

„სულთანოვმა თავისი ვერაგი პოლიტიკით დაიპყრო რა მოღალატურათ და ძალადობით ყარაბაღი, თავის მოქმედება გადაიტანა ზანგეზურში და არ ჩერდება არავითარ დაბრკოლების წინაშე, რომ ეს ოლქი დაიპყროს. სულთანოვის ბანდები სიხარულით აღნიშნავენ, რომ ზანგეზური სისხლიან ამბების წინაშე სდგას და ამაში ხედავენ თავის გამარჯვებას.

„მაგრამ ისინი სცდებიან თავის ანგარიშში. ზანგეზურის გლეხობა არასოდეს არ დაყაბულდება, რომ სულთანოვის უღელს დაემორჩილოს, ის არ წავა იმ გზით, რა გზითაც წავიდა ყარაბაღის გლეხობა ზანგეზური იარაღით ხელში გამოვა მის თავისუფლების დამმორჩილებელთა წინააღმდეგ. ზანგეზურში სულთანოვის მომხრეები შეხვდებიან სასტიკ წინააღმდეგობას. ზანგეზურთან ერთად იქნება მთელი სომხობა თავისი სამარი და მორალური საშუალებებით. სომხეთი არასოდეს არ დაუშვებს, რომ მისი განუყოფელი ნაწილი—ზანგეზური დაპყრობილ იქნას ადერბეიჯანის ჯარის მიერ. დაე იცოდენ ბაქოს იმპერიალისტებმა, რომ როგორი მთავრობაც უნდა იყოს ერევანში, ჩვენთვის სომხეთის დამოუკიდებლობის აუცილებელი პირობაა ზანგეზური. არავითარ შემთხვევაში სომხეთს არ შეუძლია ხელი აიღოს ზანგეზურზე. და თუ ადერბეიჯანი რამეს ფიქრობს ზანგეზურის შესახებ— თითოეული მისი ნაბიჯი ამ შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს, როგორც შეთქმულობა სომხეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ჩვენი ერი, როგორც ერთი კაცი აღსდგება თავის საზღვრებისა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დასაცავად.

ჩვენი სურვილია, რომ ადერბეიჯანის მმართველებმა მხედველობაში მიიღონ ეს მდგომარეობა. ჩვენ გვსურს, რომ სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ამ მხრით გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები და აცნობოს ბაქოს დიპლომატებს, რომ მათ პოლიტიკას ზანგეზურის შესახებ მიყავს ორი სახელმწიფო შეუცილებელ შეტაკებამდე. და თუ ადერბეიჯანს სურს იყოს ჩვენთან მეგობრულ დამოკიდებულებაში, მან ბოლო უნდა მოუღოს თავის პოლიტიკას და ზანგეზური უნდა მოასვენოს“

## უცხოეთი

დამოუკიდებლები პარლამენტარიზმის და მე 3 ინტერნაციონალის შესახებ.

სექტემბერში შესდგა გერმანიის დამოუკიდებლების კონფერენცია, სადაც გაარჩიეს კითხვა პარლამენტარიზმის და მე-3 ინტერნაციონალის შესახებ. ჰაზემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც ის აზრი გაატარა, რომ პროლეტარიატი დაიღალა, თუმცა არიან ელემენტები, რომელთაც სურვილი კიდევ აქვთ მოქმედებისა, ეკონომიურ კრიზისს შეუძლიან მდგომარეობა გაართულოს და ხელმეორეთ მიგვიყვანოს რევოლიუციამდე, მაგრამ შესაძლებელიც არის არ დაირღვეს მშვიდობიანობა. თანამედროვე საზოგადოებიდან, სანამდე ის არსებობს, უნდა მივიღოთ ის, რაც შესაძლებელია. პარლამენტში თანამშრომლობით ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომელიც ხელსაყრელი იქნება პროლეტარიატისთვის.

ჰილფერდინგი მხარს უჭერს ჰაზეს და ამტკიცებს, რომ პარლამენტარიზმი არ უარყოფს საბჭოების სისტემას და შეუძლიან დაეხმაროს პროლეტარიატს დიქტატურის დამყარებაში.

ილაპარაკეს პარლამენტარიზმის მოწინააღმდეგეებმაც. დეიმიჩმა განაცხადა, რომ ის არ სთვლის თავის თავს დემოკრატიის წინააღმდეგ, მაგრამ მას ფორმულა „დემოკრატიზმიდან—სოციალიზმისაკენ“ კი არ უნდა, არამედ დემოკრატიასთან სოციალიზმის გზით უნდა მივიდეთ. რუსეთიდან უნდა ვისწავლოთ ის, რაც უნდა გავაკეთოთ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ერთი პარტიის დიქტატურის, აგრეთვე ვეწინააღმდეგებით პარტიულ ტირანიასო. მე 3 ინტერნაციონალის შესახებ ილაპარაკა ჰილფერდინგმა. „ჩვენი პარტია, განაცხადა მან, მოითხოვს გამორიცხულ იქნენ ინტერნაციონალიდან გერმანელ უმრავლესობის სოციალისტები. ლოზანში ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით მტრული განწყობილება დაგვეჭირა ბოლშევიკებისადმი, მაგრამ შესვლა მე 3 ინტერნაციონალში, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩაღუპულ გემს ნავი მივაბათ“.

შტკერს ილიუზიათ მიაჩნია ის, რომ სურთ ერთ ინტერნაციონალში ყველა სოციალისტურ პარტიების შეკავშირება. განხეთქილება ინტერნაციონალში მომხდარი ფაქტია. სამწუხაროა, რომ მე 3 ინტერნაციონალი ადრე დაარსდა. მაგრამ მასში უკვე საკმაო პარტიებია და შეიძლება ბოლშევიკებს არ მიეკუთნოთ მეთაურობაო.

კონფერენციამ არავითარი რეზოლიუციები არ მიიღო. ეს კითხვები ოქტომბრის კონფერენციაზე კვლავ გაირჩევა.

## დეპეშები

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

25 ოქტომბერი.

ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი.** 24 ოქტ. სამხედრო ცნობა. პუდოგის ჩრდილო-აღმოსავლეთით 50 ვერსზე ჩვენ ვოლდოზერის ტბის კუნძულების მთელი რაიონი დავიჭირეთ. ფინეთის ყურის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. გატჩინოს რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს და პავლოვსკი და დეტსკოე სელო დაიჭირა, წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ბატარეა, 5 ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო მასალა. შეტევა გრძელდება. ლუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 ვერსზე სოფლები ავიღეთ. ვარშავის რკინის გზაზე ჩვენ ვლადიმირის ბანაკი დავიჭირეთ. პოლოცკის რაიონში მდ. უშაჩზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ არის. კიევის რაიონში მტრის ჯავშნიანი მატარებლის მოქმედებამ სადგ. ირპენთან უნაყოფოთ ჩაიარა. სევსკის რაიონში ბრძოლა გრძელდება. დმიტრიევის ჩრდილო დასავლეთით ჩვენი ჯარი უტევს. ელეცის რაიონში ბრძოლა ხან ჩვენ სასარგებლოთ, ხან მტრის სასარგებლოთ არის. ვორონეჟის რაიონში მდინარეზე გადასასვლელი ადგილი ჩვენ დავიჭირეთ. სად. რამონთან მტერს ვავიწროვებთ. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ 4 ზარბაზანი, 10 ტყვიისმფრქვეველი და სხვა ქონება. ბობროვის რაიონში აღსანიშნავი ცვლილება არ მომხდარა. ნოვო ხოპერის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ურიუპინის დასავლეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. ორენბურგის რაიონში ჩვენმა ჯარმა უტვის (ურალის შესართავი) მიუახლოვდა. ტობოლის მიმართულებით წითელმა ჯარმა ისევ დაიჭირა ტობოლსკი, დანარჩენ ადგილებიდან ცნობა არ მოსულა.

**სამარა.** ოქტ. 23. ყაზახებმა სახარნაიადან უკან დახევის დროს დახოცეს 400 ავადმყოფი და დაჭრილი წითელი ჯარისკაცი, შემდეგ შეყარეს ერთად და დასწვეს. მისულმა ჩვენმა პოლკმა გამოიტანა 200 დამწვარი გვამი, რომელთა ზურგზე ამოჭრილი იყო სიტყვები: „კომუნისტი“, „კომისარი“, „ბოლშევიკი“ და სხვა.

**ნაუენი.** ოქტ. 23. სენის დეპარტამენტის პროფ. კავშირების საბჭომ წინააღმდეგობა გამოთქვა საბჭოთა რუსეთის საქმეებში საფრანგეთის ჩარევის შესახებ. დეპეშაში, რომელიც საფრანგეთის მთავრობას გაუგზავნეს, საბჭო აღნიშნავს რევოლიუციონურ გამოსვლების საშიშროებას, რომელიც მთელ მხარეს მოელის „იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი გადასწყვეტს აქტიური მონაწილეობა მიიღოს რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებაში.

**ნაუენი.** ოქტ. 23. ბერლინის პრესა ჰკიცხავს გაზ. „მატენ“ ის მიერ გადმოცემულ გერმანელ გენ. ფონკლიუკის აზრს, რომ სასურველი იყოს ერთგვარი სამხედრო შეთანხმების დადება გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისის შორის ბოლშევიზმის წინააღმდეგ საერთო მოქმედებისთვის. გერმანიის ხალხის დიდი უმრავლესობა სცდილობს მოკავშირეთაგან ნებართვა მიიღოს რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის განსაახლებლად, რაც საყოველთაო ინტერესებს ეთანხმება.

**ნაუენი.** ოქტ. 23. ბელგიის ჯარის მიერ დაპყრობილ ოლქებში გაფიცვები იზრდება კრეფ ლდში გაფიცულთადმი თანაგრძნობის გამოსახატავად მაღაროს მუშებმა და რკინის გზათა მუშა მოსამსახურეებმა დიდი მანიფესტაცია გამართეს. ბელგიის გენ. მიშელმა რკინისგზელები სამხედრო სამსახურში გამოაცხადა და სამხედრო სამართალში მიცემით დაემუქრა

უკრაინიდან ჩამოსული გადმოგვცემს, რომ დენიკინის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებები ხდება. ტრიპოლიას რაიონში რამდენიმეჯერ მოხდა გლეხების დიდი აჯანყება, მაგრამ ადვილათ აქრობდნენ, რადგან არ არის ორგანიზატორები და იარაღი. რამადანის რაიონში მოქმედებს რამდენიმე ათასი აჯანყებული გლეხი, რომელნიც რკინის გზის ლიანდაგს ჰყრიან.

ელიზავეტგრადი აილო მახნომ, რომელმაც მრავალი ოფიცერი დახოცა.

**მოსკოვი.** ოქტ. 24. დღის წითელმა ჯარმა ვორონეჟი აილო.

**იტალიური პრესის ცნობები.**

„ჯიორნალე დიტალია“ ს სიტყვით, მინისტრთა საბჭოში ნიტტიმ განაცხადა, რომ პარიზში დიპლომატიურ მოლაპარაკებაში ახალი ფაზა დაიწყო.

ნიტტიმ განკარგულება დაუგზავნა ყველა პრეფექტებს, რომ მომავალ არჩევნებზე საჭიროა რაც შეიძლება მეტი სიფრთხილე.

რომის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა მეფეს რომის საპატიო მოქალაქის ღირსება მიაკუთვნოს.

**ხერმანული პრესის ცნობები**

გენუაში მოვიდა პირველი გერმანული გემი, მანქანებით და იარაღებით დატვირთული.

რადგანაც გერმანული ჯარის გადმოზიდვა დაიწყო, ლიტველებმა სროლა აუტეხეს რკინის გზის გერმანელ ყარაულებს. თუმცა კი ლიტველთა სარდლობა წინააღმდეგს ირწმუნებოდა. მიტავიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობით, ბალტიის პროვინციების ეროვნული გვარდია ნეიტრალიტეტს იცავს.

## ახალი ამბები

**რკინის გზელთა ყრილობაზე.** გუშინ დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები რაიონებიდან, დღეს დილის 10 საათზე კი გაიმართება კამათი ალ. ლომთათიძის მომენტზე მოხსენების გარშემო

◆ **დონის ფულების ხმარების აკრძალვა.** მთავრობის დადგენილებით საქ. რესპ. საზღვრებში აკრძალულია დონის ფულის ნიშნების ხმარება.

◆ **ექ. ელიავას გაგზავნა პარიზში** საქართველოს ქალაქთა კავშირმა გაგზავნა პარიზში 6 თვით, პასტერის ინსტიტუტში სამუშაოთ ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგე ექიმი ელიავა.

◆ **მკვლელობა.** გუშინ, დილის 9 საათზე, პუშკინის ქუჩაზე, სასტუმრო „სახალხო ნომრების“ ს წინ, უცნობმა რევოლვერით მოკლა ადერბეიჯანის სამსახურში მყოფი ინჟინერი გასუმბეკოვი. მოკლულს თან აღმოაჩნდა ფული, რომლისთვისაც ბოროტმოქმედს ხელი არ უხლია. როგორც გამოირკვა მკვლელობა მომხდარა პოლიტიკურ ნიადაგზე. მკვლელი მიიმალა. მის დასაჭერად მიღებულია ზომები. დატუსაღებულია რამოდენიმე პირი.

◆ **ქალაქთა კავშირმა** დაადგინა ყოველთვიურად გაიღოს 1 ათასი მანეთი მომრიგებელ კამერის შესანახად.

◆ **არამიანცის შუამდგომლობა.** როგორც ვიცით ქალაქის გამგეობამ პროფესიონალურ კავშირისათვის რეკვიზიცია უქნა არამიანცის სახლს. ამის გამო არამიანცი შუამდგომლობს გამგეობის წინაშე, რათა უკანასკნელმა გავლენა მოახდინოს, პროფესიონალურ კავშირის საბჭოზე, რომ უკანასკნელი შეეკრას მას პირობით. არამიანცი წლიურად მთელი სახლის (გარდა მეორე სართულისა, რომელიც ამიერ-კავკ. იტალიურ ბანკს უკავია) ქირად 360,000 მანეთს თხოულობს.

◆ **შრომის სამინისტრომ** მიმართა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირს, რათა უკანასკნელმა მიიღოს მონაწილეობა კერძო და სახელმწიფო მოსამსახურეთა პირველ [illegible] საგანთა ფონდისა და [illegible] ორგანიზაციის შექმნაში. ქალაქთა კავშირის და სამინისტროს შორის მოლაპარაკება სწარმოებს [illegible]

◆ **ბარნოვის იუბილე.** [illegible] და საიუბილეო კომისია სთხოვს ყველა ქართულ საკულტურო და საზოგადო ორგანიზაციებს, მონაწილეობა მიიღონ იმ საიუბილეო დღესასწაულში, რომელსაც მწერალთა საბჭო გამართავს დამსახურებული ბელეტრისტის ვასილ ბარნოვის 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავათ. დღესასწაული გაიმართება 9 ნოემბერს, სახელმწიფო თეატრში, დღის 12 საათზე. იმ დაწესებულებათ, რომელთაც დღესასწაულში მონაწილეობა სწადიათ, სთხოვენ აცნობონ საბჭოს 5 ნოემბრიდან შემდეგი მისამართით: თფილისი, რუსთაველის პროსპ. ყოფილი ბინა „ანონასი“. მწერალთა კავშირის საბჭოს და საიუბილეო კომისიის თავმჯდომარეს ქ. მაყაშვილს.

◆ **ვერის მუშათა კლუბში** დღეს, გაიმართება დიდი საღამო. წარმოდგენილი იქნება „სოფლის ექიმი“ და „მოღალატე“. წარმოდგენის შემდეგ ვახშამი.

◆ **მასწავლებელთა ყრილობა.** 23 ოქტომბერს გაიხსნა აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლ. დელეგატთა ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ა. მდივანი. მასწავლებელთა მატერიალურათ უნუგეშო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა თორაძემ რის შემდეგ არჩეულ იქნა დელეგაცია მთავრობასთან, რათა გადიდებულ იქნას მასწავლებელთა ჯამაგირები 4000 მანეთამდე და 50,000000 მანეთის ფონდიდან მათაც მიეცეთ იაფ ფასებში პირველ საჭიროების საგნები.

◆ **სასურსათო ფონდი.** 17 ოქტომბერს საქ. სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტმა შესახებ სასურსათო ფონდის დაარსებისა მუშებისა და მოსამსახურე მოხელეთათვის დაადგინა: „ვინაიდან მშრომელთა კლასი ფრიად გაჭირვებულ ეკონომიურ მდგომარეობაშია, სავ. სამრ. პალატა უერთდება სატარიფო პალატის დადგენილებას“. ამავე საკითხის გამო პალატის კომიტეტმა კრება მოიწვია ვაჭრობა-მრეწველობის სხვადასხვა დარგთა წარმომადგენლებისა. ამ კრებამ დაადასტურა დადგენილება სავ. სამრ. პალატის კომიტეტისა და აირჩია კომისია, რომელსაც მიენდო აღნიშნულ საკითხის დაწვრილებით შემუშავება და შესაფერ ორგანიზაციის შექმნაში მონაწილეობის მიღება.

◆ **მისასალმებელი დეპეშა.** დასავლეთ საქართველოს კოოპერატივთა კავშირის დამფუძნებელი კრება მხურვალე სალამს უძღვნის მთავრობის თავმჯდომარეს. კრება გამოსთქვამს აზრს, რომ კოოპერაციის მოძრაობისა და მთავრობის ინტერესები ერთია და ამიტომ მას სწამს, რომ კოოპერაცია მთავრობის დახმარებით შესძლებს თავის მიზნების განხორციელებას.

◆ **სატარიფო პალატის შუამდგომლობა.** სატარიფო პალატამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა უკანასკნელმა მონაწილეობა მიიღოს მუშა მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგნების შესაძენ ფონდის დაარსებაში. გამგეობამ შესაძლებლად სცნო ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება და დაადგინა მოლაპარაკება გამართოს მთავრობასთან პირობების შესახებ.

◆ **რედაქციამ მიიღო** ივ. ჯავახიშვილის ახალი წიგნი. „დამოკიდებულება რუსეთ—საქართველოსი მე 18 საუკუნეში“. წიგნი სუფთად არის გამოცემული, ღირს 16 მ.ნ. და იყიდება ქართულ კლუბის კანტორაში.

◆ **თფ. ქალაქის საბჭოს** სხდომა დანიშნულია ორშაბათს, 27 ოქტომბერს; ამ სხდომაზე სხვათა შორის, განსახილველია ისეთი საკითხები, რომელთა გადასაწყვეტათ საჭიროა კანონით დაწესებული ხმოსანთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ ორი მესამედისა.

◆ **გომართელის ლექცია.** დღეს 12 საათზე სახალხო სახლში დამფუძნებელი კრების წევრი ი. გომართელი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: საქართველოს შინაური და საგარეო მდგომარეობა.

◆ **დატუსაღება.** სისხლის სამართლის მილიციამ 22 ოქტომბერს თფილისის სადგურზე დაატუსაღა საქართველოს რესპუბლიკის რკ. გზ. მოსამსახურე ვ. ნიკოლაიშვილი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ბაქოში 24 ივლისში მატარებელ № 331073 გაძარცვაში. ნიკოლაიშვილი ადერბეიჯანის მთავრობას გადასცეს.

◆ **ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის** სამმართველოს უფროსი აცხადებს აბონენტების საყურადღებოდ, რომ კიროჩნის, პეტროგრადის და დიდი მთავრის ქუჩების რაიონებში მიწაში მყოფ ამიაკის მარილის ქიმიური ზეგავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენით დაზიანდა ამ რაიონში მიწაში გაყვანილი ბაგირების (კაბელების) ტყვიის ქერქები და სისველე შეეხო ბაგირის ძარღვებს, რამაც გამოიწვია ტელეფონების მუშაობის შეფერხება. ტელეფონების წესიერი მოქმედების აღსადგენად მუშაობა სწარმოებს დღე და ღამე.

✦ **თფილისის მაზრის ერობა** იწვევს სოფლის სკოლებისათვის მასწავლებლებს. თვიური ჯამაგირი 1200 მან. და ბინა გათბობით. საჭიროა მასწავლებლები უმაღლეს დაწყებით სკოლებისათვისაც.

✦ **შეცდომის გასწორება.** გაზეთ „ერთობის“ № 242-ში თელეთის რაიონის საფონდო მიწების შესახებ მოთავსებულ ცნობებში დაშვებულია შემდეგი შეცდომები:

1) სოფელ წალასყურში უნდა იყოს 606 დეს. 1250 ოთ. ს. ღირებული 1800 მ. 2) სოფელ თათრის სოღანლუღში 973 დეს. 1400 ოთხ. ს. ღირებული 725400 მან.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

დღეს, დილის ათ საათზე მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ. № 123) შესდგება შეერთებული სხდომა ქ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და კავშირთა გამგეობებისა, რომელიც მოისმენს და განიხილავს მოხსენებას შესახებ იმისა, თუ როგორ ეწყობა საქმე მუშებისათვის იაფ ფასიან სანოვაგისა და სხვა აუცილებელ საგნების მიწოდებისა. სეკრეტარიატი სთხოვს ამხანაგებს აუცილებლივ დაესწრონ ამ სხდომას სათანადო მანდატებით.

— დღეს, დილის 10 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში, დანიშნულია სასწრაფო სხდომა ყველა ლექტორთა, ლექტორობის მსურველთა და განყოფილებათა წარმომადგენლებისა.

— ორშაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, სასახლეში, ქვესტორის კაბინეთში დანიშნულია შეერთებული სხდომა: „ფრონტის დღის მომწყობ მთავარ კომიტეტის“, „მეომართა დამხმარე საზოგადოების“, „პროლეტარულ ფრონტის დღის“, სახელმწიფო კანტროლისა და დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის წარმომადგენელთა.

— დღეს დილის 11 საათ, თფილისის სეპარქიო ქალთა მე-5-თე გიმნაზიის შენობაში დანიშნულია მშობელთა და მზრუნველთა საზოგადო კრება.

— დღეს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია საკითხი აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებასთან შეერთების შესახებ.

— დღეს, სად. 4 საათზე ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ავლაბრის რაიონის მოქალაქეთა კრება, სადაც არჩეულ იქნება სანიტარული საბჭო.

— დღეს საღამოს 4 საათზე, ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონულ კოლექტივთან არსებულ ქალთა ორგანიზაციის კრება.

— დღეს საღამოს 4 საათზე ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში კახეთის ქ. № 1 შესდგება კოოპერატივ „ალორძინების“ ავლაბრის განყოფილების წევრთა საერთო კრება. წევრთათვის სავალდებულოა დასწრება. ასარჩევია 35 რწმუნებული და რწმუნებულების კანდიდატები.

— დღეს ჩუღურეთის ახალგაზრდა მარქსისტთა მორიგი კრება შესდგება დილის 10 საათზე.

— დღეს, ნაძალადევის 4 ს. ერთობის უბნის მუშათა კლუბში დანიშნულია კოოპერატივ „ალორძინების“ ერთობის უბნისა და თუმანოვის განყოფილების წევრთა წინასწარი საარჩევნო საზოგადო კრება.

— ორშაბათს, 27 ოქტომბერს ნაძალადევის მუშათა კლუბის დარბაზში შესდგება ნაძალადევის უბნის მცხოვრებთა კოოპერატივ „ალორძინების“ წევრთა კრება. კრება მოწვეული იყო 21 ოქტომბერს და არ შესდგა.

— ორშაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე კახეთის რკინის გზის სამმართველოში დანიშნულია საზოგადო კრება სამმართველოს სოც. დ. მ. პარტიის წევრთა.

## რკინის გზელთა ყრილობის დელეგატთა საყურადღებოთ

**(პროფესიონალური პრესის გაერთიანების შესახებ).**

ჯერ კიდევ ივნისში, საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, როდესაც მან თვისი ბეჭდვითი ორგანოს დაარსება განიზრახა, წინადადებით მიმართა თქვენ ცენტრალურ კომიტეტს, რათა გაერთიანებული ყოფილიყო პროფესიონალური პრესა და რამოდენიმე ჟურნალ გაზეთების მაგიერ, რომელსაც მაშინ სცემდენ სხვადასხვა კავშირები, ყოფილიყო გამოცემული ერთი პროფესიონალური ორგანო, ძლიერი მატერიალურად და იდეურად. ამას გვიკარნახებდა, როგორც იდეური, ისე მატერიალური მოსაზრებები ჩვენი კავშირებისა აღმასრულებელ კომიტეტს აზრად ქონდა ყველა პროფ. ორგანოების გაერთიანება ერთ ცენტრალურ ორგანოში. ამიტომ მან წინადადება მისცა თქვენ ცენტრალურ კომიტეტს შეერთებოდა მას და საერთო ძალით გამოეცათ ერთი ყოველ კვირეული ორგანო, რომელშიაც განსაკუთრებული ადგილი ექნებოდა დითმობილი თქვენ კავშირს.

მოლაპარაკებამ გამოარკვია, რომ კომიტეტს ამის უფლება არ ქონდა, რადგან ეს ყრილობის და გენილების კომპეტენციას შეადგენდა. ამიტომ ეს საკითხი მაშინ მოიხსნა დღის წესრიგიდან და დღემდე მას აღარც ჩვენ და აღარც თქვენ არ დავბრუნებივართ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ დავიწყეთ ჟურნალის გამოშვება და შეძლებისა დაგვარათ ვხელმძღვანელობთ მას.

ჟურნალი ოთხი თვეა რაც გამოდის, ის თვალსაჩინოთ იზრდება იდეურათაც და მატერიალურათაც. მისმა ტირაჟმა 3000—4500 აიწია, და იმედია თანდათან იმატებს.

პროფესიონალურ პრესას მომავალი დიდი მოელის და აი სწორეთ ამიტომ საჭიროა მისი ჯეროვან ნიადაგზე დაყენება. თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს, მუშათა რიცხვის რაოდენობას და იმ საერთო ინტერესებს, რომელიც ასულდგმულებს ჩვენს კავშირებს, მიუხედავად პროფესიისა, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ბევრათ უფრო ხელსაყრელია არსებობდეს აქ ერთი შინაარსიანი და სერიოზული ორგანო, ვინემ მრავალი სუსტი და შინაარს მოკლებული.

პროფესიონალური მოძრაობის მცოდნე პირები ჩვენ თითებზე ჩამოსათვლელათ გვყვანან. მწერლები და თანამშრომლები კიდევ ნაკლები მოგვეპოვებიან, ფასები ღარიბზე ულარიბესი გვაქვს და მუშათა რიცხვი 60—70 ათას არ აღემატება.

ასეთ პირობებში პირდაპირ დანაშაულობა, ზედმეტი ხარჯების გაწევა, ძალების განაწილება და დაქუცმაცება, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ყველა ამაების თავის მოყრა და საქმის უზარალოდ ერთ ორგანოში ცენტრალიზაცია.

საბეჭდავი ქირა, რედაქცია, კანტორისა და მოსამსახურეების შენახვა, ქრონიკა, გზავნა და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი ხარჯების ერთი ორათ და ერთი ათათ წარმოება.

იდეიურ მხარეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ყველასათვის ცხადია, რომ ერთათ თავმოყრილ ძალას მეტის და უკეთ გაკეთება შეუძლიან, ვინემ გაცალკევებულს და დაქუცმაცებულს.

მასთან მკითხველი და მყიდველიც უფრო მოგებაშია. ის ერთს ორგანოს უფრო ადვილათ იყიდის, ვინემ სამს ან ოთხს.

სულ სხვა მდგომარეობაა, როდესაც საერთოთ მუშაფა რიცხვი ბევრია და კავშირებს ასი ათასობით წევრები ჰყავთ, მათ უფრო რთული ცხოვრებაც აქვთ და საკუთარი პრესაც ესაჭიროებათ. თვით კავშირების სულიერ და ორგანიზაციული დაახლოვებისათვისაც უჯობესია მათი ინტერესებისა და ყოფა ცხოვრების შესახებ ცნობების ერთ ორგანოში თავის მოყრა. დღეს რკინის გზელები ჩაძვრალნი არიან თავიანთ ქერქში და სხვა კავშირების ცხოვრებას ვერ ეცნობიან, რადგან ეხლანდელი სიძვირის გამო ისინი ვერ ინარჩუნებენ სხვა ჟურნალ გაზეთების საყიდელ ფულს.

სხვა კავშირებიც მოკლებულნი არიან რკინის გზელების ცხოვრების შესახებ ცნობებს, რადგან ისინი სრულიადაც არ კითხულობენ რკინისგზელების ორგანოს, რადგან მას სპეციფიური რკინის გზის ელფერი აქვს. საერთო ორგანო კი უფრო დააინტერესებდა ყველა დარგის მუშებს, მათ შორის რკინის გზელებსაც.

აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნებულია ამაში და სწორეთ ამიტომ მან განმეორებით მიმართა თქვენ ცენტრალურ კომიტეტს, რათა ეს საკითხი ყრილობაზე განხილულ იქნას.

იმედია, რომ კუთხური (პროფესიონალური) ინტერესები არ დაჩრდილავენ კლასიურს და ეს საკითხი სწორედ ისე გადაწყდება ყრილობაზე, როგორც ამას მთელი საქართველოს მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საერთო ძალით ჩვენ ბევრად უფრო მეტს გავაკეთებთ ვინემ ცალ ცალკე.

ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი **შ. აბდუშელიშვილი.**

## ადერბეიჯანში

(მგზავრის შენიშვნები).

ზედმეტათ არ მიმაჩნია ჩვენი გაზეთის მკითხველთ გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილება ბაქოში მოგზაურობის დროს მიღებული. ადერბეიჯანში ყველაზე მეტათ მაინტერესებდა შემეტყო თუ როგორ მოუწყვიათ ჩვენს მეზობლებს შინაური ცხოვრება; ჩვენ, ქართველების, ასე თუ ისე პარლამენტარული ცხოვრების ერთგვარი გაკვეთილი მაინც გვქონდა და განვლილი, რეგულიარული ჯარი მაინც გვყავდა, ადერბეიჯანელები კი მოქალაქობრივ ცხოვრებას სულ ახლად იწყებენ. სამწუხაროთ, მე არ მინახავს სოფელი, მაგრამ ქალაქის (ბაქოს) ნახვამ ჩემზე ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ბაქოში მე დავრჩი 12 დღე და ამ 12 დღის განმავლობაში ჯარის წვრთნა ისეთი სწრაფი ნაბიჯით სწარმოებდა, რომ ჩემს თვალში მისი მუდმივი ჯარი ერთი ორად გაიზარდა. ჯარის წვრთნა სწარმოებს თათრულ ენაზე, ინსტრუქტორთა უმეტესობა უცხოელებია (უმთავრესათ ქართველები), მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ ადერბეიჯანს ეყოლება თავის ოფიცერთა შტატი, ახლად კურს დამთავრებულები. მართალია, ჯარში ადგილი აქვს ძველებურ ჯოხსა და „როზგს“. მაგრამ მორჩილება და დისციპლინა საუცხოვო აქვთ. ჩაცმა დახურვა ჩვენი ჯარის ბევრად უკეთესია. იმათ ჯარისკაცებს თითქმის ყველას ქალამნები აცვიათ. სამხედრო მინისტრს ბ-ნ მახმუნდაროვს ქართველების დიდი სიყვარული ჰქონია, ამიტომ მისი თაოსნობით ბევრი ქართველი აფიცრებისათვის მიუციათ ადგილი, მაგრამ, სამწუხაროთ, ზოგს ნდობა ვერ გაუმართლებია, ფულები გაუფლანგავს და ამიტომ ამჟამად ქართველებს ალმაცერად უცქერიან. მოგახსენებენ ერთი ქართველი აფიცრის თხოვნაზე მინისტრს წაუწერია: „ჩემთვის უმჯობესია მყავდეს ერთი უსწავლელი ასკერი, ვიდრე 100 ნასწავლი, მაგრამ გაიძვერა ქართველიო“. უნდა აღვნიშნოთ რომ ბაქოს დიდ ძალი ქართველობა მოაწყდა, განსაკუთრებით „იოლი საქმის“ მოყვარულები და ბევრი მათგანი ციხეში სხედან, ბევრს კი გაქცევით უშველია თავისთვის. თვით ბაქოში ამჟამად კარგი წესრიგია. პოლიცია ძველებურ ყაიდაზეა. საქმის წარმოება რუსულად არის. თვით ბაზარში კი ყველა დაწესებულებებზე და სავაჭრო სახლზე წარწერა (ვივესკა) პირველად აუცილებლად თათრულია, შემდეგ კი სხვა ენაზე, ამ მხრივ ადერბეიჯანელებს ჩვენთვის გაუსწრია. ქალაქში ხალხი ძლიერ ბევრია. სასტუმროები სავსეა. ვაჭრობა გაჩაღებულია, დუქნები საქონლით სავსეა, მაგრამ ფართლეულობა თუ სხვა თფილისის ბაზართან შედარებით ძლიერ ძვირია. აქაურთან შედარებით იაფია პური (3, 4, 5, 6 და 7 მანეთი), ხორციც ძლიერ ბევრია და ძლიერ მსუქანიც. ფასობს არა უმეტეს 15 მანეთისა, ნავთი 15 მ. ფუთი. ბინის დიდი კრიზისია. ერთი პატარა ოთახი 500—1500 მანეთამდე ფასობს. კოოპერატივების მოქმედება არ სჩანს, სამაგიეროთ ენერგიულად მუშაობს ე. წ. „Центросоюз“-ის კომიტეტი, რომელიც უმთავრესად მცხოვრებლებს აწოდებს პურს. ქაღალდის სიძვირე ამ [illegible] ჩვენში, მაგრამ გაზეთები მაინც გამოდის, სხვათა შორის [illegible] ციონერ რუსთა გაზეთი „Русск. День“, ბოლშევიკების „Бѣднота“, მენშევიკების „Искра“, ებრაელების „Евреиск. Свобода“. შემარცხენე გაზ. დაჯარიმება (ადმინისტრატიული) ხშირია. უმუშევრები ქალაქში ძლიერ ბევრია და შრომის მინისტრს დიდათ უჩივიან უმოქმედობას. დაბეჯითებით ამბობენ, რომ როცა აქ ინგლისელები იდგნენ, მაშინ გაზეთში ერთ განცხადებას ვერ ნახავდი, რომლითაც ქალი ადგილს ეძებდა, ახლა კი ასეთი განცხადებით გაზეთები სავსეა. ბევრ ინგლისელ ჯარისკაცს ქალები შეუერთავს, მაგრამ წასვლისას არც ერთს თან არ წაუყვანია.

ქართველების კოლონია ერთხანს დაქსაქსული ყოფილა, მაგრამ ახლა ისევ კავშირდებიან. როგორც იქნა ქართული სკოლა ჯარს დააცლევინეს და გადაწყვიდა შიგ სწავლა განაახლონ, მოიწვიონ ორი მასწავლებელი და საღამოსა და საკვირაო კურსებიც მოაწყონ. თვით ბაქოს „პოგრომის“ შედეგი ნაკლებათ ეტყობა, ეს არის თვალში გხვდება საუკეთესო ქუჩაზე განადგურებული სახალხო სახლი (ნაგიევის მიერ აგებული), რომელიც სომხებს დაუნგრევია, სამაგიეროთ გზაზე სადგურები აკლებულია, ზოგი სულ გადამწვარია, ვერც ერთ სადგურში, როგორც წინად, ისე ახლა ვერ შეხვდები ჟურნალ გაზეთების კიოსკს.

ჩვენს საზღვარზე, სადგ. სოლოღლში ნაცნობებმა შემომჩივლეს და დამაჯერეს საზოგადოებისა და მთავრობის ყურამდე მიეღწია, რომ იქ საბაჟოს მოხელენი უწესრიგოდაც იქცევიან და ანგარიშსაც ხშირად აქვს ადგილიო. ამის მაგალითებიც დამისახელეს, მაგრამ მე მისი აქ მოყვანა უხერხულად მიმაჩნია, მაგრამ არ შეიძლება არ ვთქვა რომ ყველგან, განსაკუთრებით საზღვარზე მეტად საჭიროა სპეტაკი და ზრდილი მოგვყავდეს. გარდა საბაჟოს მოხელეთა უმგვანო მოქმედებისა, იქვე შემომჩივლეს რკინის გზის რევიზორის მიერ ჩადენილი ბოროტ მოქმედება, რომლისთვისაც ოქმიც შეუდგენიათ (9 ოქტომბერს). ორიოდე სიტყვა საზღვარ გარეთ და საზღვარ გარეთიდან გასვლა-შემოსვლის ნებართვის (პროპუსკის) შესახებ. მართალია ასეთი ნებართვა მგზავრობას ზღუდავს, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის არსებობისა და მისი პრესტიჟისათვის აუცილებელია და არ კმარა მარტო ბაქო, არამედ ჩვენი წარმომადგენელი უნდა იყოს განჯაშიაც

## საბიბლიოგრაფიო წერილი

**ვ. რუხაძე. „ცხოვრების ყვავილები“. წიგნი მესამე.**

ცხოვრების საშინელებით გაოგნებულს, პატივ-ახდილს ხალხს, რომელიც დაიქანცა, დაიღალა ამ უმაგალითო მსოფლიო ომიანობით და გაფაცურცებით ელის, თუ აცა, როდის მოვა ცნობა კაცობრიობის ნანატრი მშვიდობიანობისა, როდის შეწყდება ადამიანთა ძვლებზე სიბოროტის კალოს ლეწვა,— ამ დროს შეიძლება ვინმემ გაგულისებიოაც კი წამოიძახოს: რა დროს ყვავილებსა და პოეზიაზეა ლაპარაკი, როდესაც სულსა გვიხუთავს ვერაგი ცხოვრებაო... ფრიად შემცდარი იქნება ასეთი სულთა სწრაფვა. არასოდეს არ ყოფილა პოეზია მეტი და დღეს ხომ მეუცილებელიც არის. ახლა, როდესაც მშობიარობის მწვავე ტკივილებს განიცდის გატანჯული კაცობრიობა და ძალას იკრეფს, რომ შეუდგეს სიყვარულის მთათა მწვერვალებს—სწორეთ ახლაა საჭირო მისი სულის გამხნევება, ახლა უნდა ვაზიაროთ პოეზიის წყაროს, რომელიც ძალ ღონეს შემატებს დამაშვრალს, შთაბერს დიად რწმენას გამარჯვებისას და ჩვენს მგოსნებთან ერთად აგალობდება სხივოსანს თავისუფლებაზე, უჩრდილო სიყვარულზე, უსაზომო ნეტარებაზე...

სიყვარული, თავისუფლება, თანასწორობა!—რა ძვირფასი ყვავილებია და რაოდენი მსხვერპლი შეიწირა, ვიდრე ვეღირსებოდით მის პირველ კოკორის გადაშლას.

შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩამოწოლილი იყო ცარიზმის შავ ბნელი ღრუბლები და აშმორებულ ჰაობად გადაქცეულს არე-მარიდან გვესმის სისინივით გაისმოდა თვალბედითი ხარხარი ჯალათებისა. ყველას ახსოვს ეს მაჯლაჯუნა დრო და დღესაც ჟრჟოლასა ჰგვრის კაცს მისი გახსენება, ყველამ უწყის რომ ამ დროს კათაკმეველივით იდევნებოდენ არა მარტო რევოლიუციური ორგანიზაციები, არამედ ისიც კი, რასაც ოდნავი დაღი მაინც ემჩნევა და საზოგადოებრიობისა..ქვეყანა ტიალ სასაფლაოს დამსგავსებოდა, რომელიც ვეშაპი პირით ნთქავდა ყოველივე იმას, რაც შეელფერებული იყო სიცოხლის ეშხით და თავისუფლების წყურვილით.

მიუხედავად ამ საშინელებისა მუშათა კლასს მაინც არ წარკვეთია სასოება, იგი არ შერიგებია ჯოჯოხეთურ სინამდვილეს, წინასწარ მეტყველისებურ მხნეობა-რწმენით იტანდა ტანჯვას სანატრელ თავისუფლების გულისათვის...

ამ მხნეობის მიზეზია, სხვათა შორის, ჩვენი მებრძოლი პოეზია, მუშათა მგოსნები.

როგორც ტოროლას გალობა სულს უმაღლხაზებს ღამის მეხრეს და იმედით ალოდინებს გარიჟრაჟს, რაც უნდა წყვდიადის კარებ—ხტავნა—დარაზებით იყოს დაგულული,—ისე ამ მოშავებულ დროს დემოკრატია ჰსასოებდა, როგორც კი შემოესმოდა ჩვენი მგოსნების გალობა.

შავ რეაქციის დროს, როცა განადგურდა ორგანიზაციები და როცა დღიური გაზეთის გამოცემაც კი ძნელდებოდა—ამ დროს მუშათა პოეტები თავიანთ სადარაჯოებზე იდგენ, და ამაყათ ეჭირათ ჩირაღდანი, გზას უნათებდენ ბნელში მავალთ და ამხნევებდენ სასოწარკვეთილთ.

გ. ქუჩიშვილს ერთი დაუბეჭდავი პოემა აქვს, სადა წყვდიადითა და უიმედობით მოცულს ქვეყანას მოვლენია მგოსანი, მას ხელში უჭირავს ჩირაღდანი, რომელიც სინათლის გამჩაღებელ ძალად ხმარობს მგოსნის გულიდან გადმონაწვეთს სისხლს.

სწორეთ ასეთი მგოსნები არიან გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, ვ. ტუქსიშვილი, აბაშელი, ლეჩხუმელი, ა. ახოსპირელი, იასამანი, ზომლეთელი, მალაქიაშვილი, ობოლი მუშა, ჩხიკვაძე, და ბაბილინა, რომლებიც კელაპტრად იყვნენ ანთებული ხალხის კეთილდღეობის სამსხვერპლოზე და იწოდენ, ილეველფებოდენ, ოღონდ კი ხალხს არ ჩაკვდომოდა უკანასკნელი რწმენა მომავალისა.

ეს მგოსნები ყველგან მიდიოდენ... ყველგან გაისმოდა მათი გაბედულისიტყვა, გრძნობით გამთბარი მოძახილი.

რაც უნდა ღატაკი ოჯახი ყოფილიყო, თუ კი ოდნავ მაინც გაეგო გემო დემოკრატიულ პოეზიისა უეჭველად შეიძენდა მუშათა პოეტების ლექსებს და მით გაირთობდა გულსა... ეს იყო მისი ცისარტყელა რეაქციის წარღვნით წალეკილ არე-მარეში.

მომავალი ისტორიკოსი, როდესაც შეუდგება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანის შედგენას, სასოებით მოიხსენიებს ამ მგოსნებს და რევოლიუციის მოციქულთა შორის მათაც დაუთმობს ჯეროვანს ადგილს.

უნდა გამოვტყდე, რომ დღეს, როდესაც დიდი განსაცდელი გვაქვს განვლილი და თავისუფლების კუნძულზე სულს ვითქვამთ, ვტკბებით ბრძოლის ნაყოფით,—დღეს ჩვენი მგოსნები მაგრე რიგათ არა სჩანან... ბევრი მათგანი დავიწყებულია, მიუხედველია... არავინა კითხულობს, თუ რა პირობებში სცხოვრობენ ისინი, რომელნიც ისე მამაცად მიგვიძღოდენ წინ და წმინდა ემბლემად მიაქ ნებდენ სიყვარულით აჭიაფერებულ და აფეთქიალებულ თავიანთ გულებს.

არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ ვინ იცის იქნება ეს ჩვენი მანუგეშებელი მგოსნები დღეს დამშეულნი არიან და ბედ გამწარებულნი.

ჯერ ძველად რა იყო მათი სიცოცხლე და ამ სისხლის წვიმის დროს ხომ ჯოჯოხეთად გარდაექცეოდათ ყოფნა.

რაინდობა უნდა თხოულობდეს, რომ როდესაც მწეთ მოგევლინება ვინმე გაჭირვებაში მყოფს და ხელს გამოგიწვდის—პირველ შეძლების უმალ—უნდა შენც გადაუხადო სამაგიერო... ასე არ იქცევა დღეს საზოგადოება... არც სხვა საზოგადოებას უფიქრია ოდესმე... ყოველთვის ასე ხდება. ამაგდარი და გმირი მიიჩქმალება, ხოლო კვარცხლბეკზე წამოიჭიმება ის, ვინც გაჭირვების ჟამს არსად სჩანდა, და თავგის სორიო სრასასახლეთ ულირდა.

ეს ერთგვარი კანონია დუხჭირი ცხოვრებისა...

ამიტომაცაა, რომ ბევრჯელ ფუსფუსალები იდაფნებიან, ღირსეულნი კი ქვეყნის შეუმჩნევლად, ფარულად მისტირიან თავიანთ ალაფეშულს ბედის ბილიკებს...

რა თქმა უნდა, ჩვენი მგოსნები ვაშა და ბარაქალას თქმისთვის არა სწერდენ და არც ახლა ისურვებენ მას, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ გვახსოვდეს იგინი და თუ ლხინათ ვერ გაუხდით გაჯახირებულს ცხოვრებას—იმდენი მაინცა ვქმნათ, რომ მოვაგონოთ მათი მწარე ბედი იმ დაწესებულებებს, რომელთაც ავად თუ კარგად შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა მათი პირობების გასაუმჯობესებლად...

ხშირად ისეთი გულ ქვაა ადამიანი, რომ არც კი ეცოდინება თავის მგალობელთა თავ გადასავალი თვით მგოსნები რომ არ აცნობებდენ თავსა..

დარწმუნებული ვარ ბევრი შენატრის კიდეც მაგალითად ვ. რუხაძეს, რომელსაც განგებამ მისცა ნიჭი საამო დამატყვევლ ჰანგებით აამეტყველოს თვისი გრძნობები... იმას კი არავინ კითხულობს, თუ ვერანა ცხოვრებამ რა ტანჯვის ცეცხლი დაანთო მისს გულში...

მართლაც რაოდენად უნდა მოხვარსლულიყო ნაღვლით მგოსანი, ვიდრე ასეთის ახსარებას დასწერდა:

სად მგოსანი, სად ვაჭარი!
მათ საერთო რა აქვთ ნეტა?!
ფუი იმას, ჩემი ბედი
ფულის ყუთში ვინც ჩაკეტა!
როცა დავთრებს ჩავკირკიტებ,
თამასუქებს ვაწესრიგებ,
ჩოთქზე გავდი გამოვდივარ,
რამდენს ვაგებ, რამდენს ვიგებ,—
მაშინ იქვე ჩემი მუზა
კედელზეა ატუზული
და მდუღარე ცრემლებს აფრქვევს
საცოდავათ მობუზული. და სხვა.

რა უბედურებაა, ღმერთმანი. კაცობრიობის უგრძნობიერეს ელემენტს მგოსნობა წარმოადგენს. როგორც თვალის ბაიას უნდა მოვლა, ისეთსავე ფარიზს საჭიროებს მგოსანი და იგი კი „ჩოთქს“ ჩაჰკირკიტებს. თუ გინდათ გაიგოთ კულტურის რა დონეზე დგას რომელიმე ერი, იკითხეთ ხელოვანთა ბედი და პასუხს მიიღებთ...

რა თქმა უნდა ნუღლითა და ყინვაშაქრით არც სხვა ერი უკოკლოზინავებს ყელს ხელოვნებს, მაგრამ ჩვენისთანა უმადურად არავინ ექცევა... კიდეცა ვჩივით, ჩვენი ხელოვნება ფერმკრთალიაო. გამოიყვანეთ ქუჩიშვილი სტამბა კანტორიდან, გამოსტაცეთ რუხაძეს „ჩოთქი“, მოასვენეთ გალ. ტაბიძის, ნ. ჩხიკვაძის და სხვათა მუხლები თფილისში წანწალისგან, გაუჩინეთ მათ კერა, მოსძებნეთ სადღაც პროვინციაში გადაკარგული ბ. ახოსპირელი, გაიხსენეთ, მიჰხედეთ სხვა მგოსნებსაც და მაშინ ნახავთ თუ რა შეუძლიან თავისუფალ შემოქმედებას.

ჯერ კი, ჯერ ისეა საქმე გამხდარი, რომ თვით მგოსნებს უხდებათ საზოგადოების მოგონება, ისევ მგოსნები ცდილობენ შეჰკონონ ძვირფას თაიგულათ თავიანთი ყვავილები, შესთავაზონ თავიანთს საყვარელს ხალხს და ანუგეშებენ: მართალია, შენ გატანჯული ხარ ამ საშინელი დრო-ჟამით, მართალია, შენ დაიღალე დაუსრულებელი ბრძოლა ძიებით, მაგრამ მოითმინე, ცოტაც მოითმინე, ამ ყვავილებით სული მოითქვი, გული გაიმხიარულე და შენც ეღირსები ნეტარ სამეუფეოს მარადიულ სიყვარულისას...

ერთი ასეთი თაიგულია ვ. რუხაძის „ცხოვრების ყვავილები“.

ვ. რუხაძის შემოქმედების დასახასიათებლათ შეიძლება ძალიან ბევრი დაიწეროს, მაგრამ მგონია ამას ორიოდე სიტყვითაც შევძლებ თუ მას შევადარებ მკის ნიავსა.

იცით თქვენ როგორ უყვარს ყანის მომკალს ნიავი? ვისაც პაპანაქება მკათათვეში, სიცხის პრტიალით მოვარვარებულს ჰაერში ყანა უმკია—იმან იცის რა არის და რა სანატრელია მაგრილებელი ნიავი... სწორეთ ასეთი სანუკვარი ნიავია რუხაძის პოეზია... რაც უნდა სიმწრის ოფლი სდიოდეთ ქარხნებში მუშებს, რაც უნდა უიმედობით იყვნენ იგინი დაჯაბნებულნი, საკმარისია შეიჭრას იქ ვ. რუხაძის ცქვიტი, მოკრიმანჭულე სიმღერა, რომ გაიშალოს შეკოპიტებული შუბლი მუშისა, ომახიანი მოძახილი გაისმას კვნესა ჩივილით მოყრუებულ ქარხანაში..

ვ. რუხაძემ არ იცის სენტიმენტალობა, ლოლიაობა. იგი არცხვენს ყველას, ვისაც უიმედობა ეპარება... იგი მოითხოვს გონს მოსვლას, მებრძოლთა რიგში ჩადგომას.

ეი! თქვენ, ვინც მონის უღელში
რკალებრ მოხრილხართ, კვნესით და
გმინავთ,
გამოდით გარეთ მახვილით ხელში...
რათ არ გრცხვენიანთ, ამ დროს რომ
გძინავთ?!
საბედისწერო ზარმა ჩამოჰკრა,
„ყოფნა-არ ყოფნის“ კითხვა დაისვა...
დრო არის ჩახმახს თითი გამოჰკრათ!.
დრო არის, ხმალზე ხელი გაისვათ!
რომ გიკიდებათ თვალებზე რული,
თავისუფლება არ გიყვართ განა?!
არ გიცემთ მკერდს ქვეშ მამაცი
გული?!
არ გინდათ ნახოთ თქვენც ხსნის
ქვეყანა?!

რა გული უნდა იყოს, რომ არ ისმინოს ეს მოწოდება, რა უიმედობა უნდა იყოს, რომ არ დაიბალთოს ამ მხილებით, რა მუშა უნდა იყოს, რომ ამ ლექსმა არ შეასწავლოს ახალი, მებრძოლი სიმღერა და არ გაიტაცოს თავგანწირულების მწვერვალებისკენ.

ვ. რუხაძეს სძაგს, უმიზნოთ მიაჩნია ყოველდღიური მრეში ცხოვრება, საცოდავი არსებობა... მისი სიცოცხლე მარადიული მოძრაობა და სწრაფვა.

მე მარად წინ წინ მივდივარ,
მსურს ვნახო ლურჯი სამყარო
. . . . . . . . . .
და შემდეგ კაცობრიობას
მზის უკვდავება ვახარო.
მომწყინდა მუდამ ჭაობში
ხოხვა... ვაგლახის ყურება:
რა სიცოცხლეა სიცოცხლე,
თუ ნისლით დაიბურება,
ვერ ავა შვების მწვერვალზე,
ცრემლთა ზღვათ დაიწურება?!

აჩვენეთ ეს ლექსი მუშასა და ჰნახავთ, თუნდა დავრდომილიც იყოს იგი, რაზომ გარდაიქმნება, როგორ აუგუზგუზდება გულში ბრძოლისა და სწრაფვის ცეცხლი. სწორეთ ეს ჰქონდა მიზნად დასახული რუხაძის პოეზიას. მას მეტი არცა სდომებია. მისი ნატვრა იყო და აუსრულდა კიდეც, რომ აეკვესა ის ცეცხლი, რომელიც იმ უზარმაზარ კოცონად გადაიქცევა, სადაც ჩაიბუგება ძველი, ცოდვებით დამძიმებული ქვეყანა და გამოიჭედება წკრიალა ზარები ახალ მზიურ ქვეყნის სამრეკლოსათვის.

დიაღ, იქნება ეს სამრეკლო შორეულ შრომის სამეუფოსი, მაგრამ მწამს ჩვენი მემკვიდრენი ახალ დიად ზარების გვერდით უეჭველად ჩამოჰკიდებენ: რუხაძის, ქუჩიშვილის და სხვათა ზარებს, და იმ ნათელს, უკაეშნო სიმღერაში, რომელიც მზის ჩანჩქერივით გადმოიფრქვა—უეჭველად ათვალმარგალიტებული იქნება ჩვენი მგოსნების მელოდიები.

თავადები თავიანთ სახლებს სპარსულ ხალიჩებითა და დამბაჩებით იმშვენებდენ, ბურჟუაზია თვალმარგალიტით მოჭედილ სამკაულებით რთავს თვის სრასასახლეებს...

მშრომელი ხალხის სამკაული და ფერად ფერადი ხალიჩები—მებრძოლი პოეზიაა... მან უნდა გადაიძროს დაბრანძული ტანისამოსი და სოციალიზმისთვის საბრძოლველად დემოკრატიულ მხატვრობის ფერადებით მოიკაზმოს... თვისი დაყურსებულ დანაღვლიანებული ქოხ მახები იმედიანი, მოელურტულე სიმღერებით უნდა გაახალისოს.

ვ. რუხაძემ თვისი პოეზიის ყვავილების თაიგულები შეჰკონა და მუშათა უბნებში გადაისროლა...

ველით სხვა მგოსნების ნაირ-ნაირ თაიგულებსაც...

**დ. თურდოსპირელი.**

და იქიდანაც უნებართვოთ არავის არ უნდა შეეძლოს ჩვენი საზღვარი გადმოლახოს. ნებართვებს ჩვენი მოხელენი ფხიზლად უნდა ექცეოდნენ. თორემ რასა გავს ასეთი გულგრილობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 10 ოქტომბერს. არავის ჩვენთვის არ მოუთხოვნია და ამით ხომ შეიძლება მეორეთ ვისარგებლოთ ან სხვას გადავცეთ.

მგზავრი.

## ბალშევიკების ოინები რკ. გზაზე

თფილისელმა ბალშევიკებმა ამ ბოლო დროს ინებეს რკინის გზებზე გადაეტანათ თავიანთი მუშაობა და თფილისში რომ ვერაფერი შესძლეს პროვინციებში გვეწვივნ. რკინის გზის სამმართველომაც თითქოს ხელი შეუწყო ბალშევიკებს და ამ ერთი თვის წინათ სად. ზესტაფონში დაგვინიშნეს სამმართველოს მოხელე მუნტიკოვი და ელბაქიძე სად. მიხაილოვში, ბალშევიკების დანაკლისი სამმართველომ შეგვივსო და რაიონებში ბალშევიკი პროპაგანდისტები გამოგვიგზავნეს. რასაკვირველია მუნტიკოვმაც ისარგებლა შემთხვევით და სწორეთ, როცა შორაპნის რაიონში დელეგატების არჩევნები ხდებოდა, მანაც ინება სიით № 5 გამოსვლა და შეეცადა „სოციალიზმის მოციქულების“ გაყვანას ყრილობაზე. რასაკვირველია, როგორც მათ სჩვევიათ, სიის პირველ რიგში თვითონ მუნტიკოვი მოთავსდა (დისციპლინისათვის, რასაკვირველია) შემდეგ კი სამიოდე მუშა. მიუხედავათ იმისა, რომ შორაპნის რაიონში ბალშევიკების ნატამალიც არ იყო, მუნტიკოვმა მაინც თავი მოუყარა ყუ-ში ყურიანებს და თვითონ კიდევაც გავიდა დელეგატათ, მაგრამ მანდატი კიდევ ხელმოუწერელი ქონდა, რომ ჭიათურის მუშა-მოსამსახურეებმა პროტესტი განაცხადეს არჩევნების უკანონობის გამო, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ დიდმა უმრავლესობამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, რადგანაც ამის შესახებ არავითარი ოფიციალური ცნობა არ იყო, ამავე დროს კი შავი ქვის მტვირთავებმა, რომელნიც კავშირის წევრებათ არ ითვლებიან, მონაწილეობა მიიღეს, რასაკვირველია ბალშევიკების სასარგებლოდ, იმ მოსაზრებით რასაკვირველია რომ 100 მ. მოიმატებდა ვაგონის დატვირთაში, მუნტიკოვის ლოცვა კურთხევით ამასთან დაემატა № 5 სიაში შეტანილი კანდიდატების პროტესტი დაგანცხადება, რასაც მკითხველის ნათლად გასათვალისწინებლად მივიყვან მისი რედაქციით სრულიად: „ვაცხადებ მე სადგურ ზესტაფონის სათადარიგო მეისრე აფრასიონ სებისკვერაძე რომ მე დაუწერივართ ბალშევიკების სიაში № 5. თქვენ ბალშევიკის არიო და მე ის კაცი რათი მიცნობდა, როცა არ მინახამს და ან როდის ვმუშაოდგი იმათთან იმათ პარტიაში მე ტეხში მსახურობდი და დაშორებული იყო და იმდენი დრო არ მქონია რომ სადმე წავსულიყავი და არც ვიცოდი იმათი არაფერი. მე ჩემის აზრით მენშევიკებს ვეკუთნოდი და ეხლაც იმას ვეკუთვნი კიდეც და ეხლა რო არჩევნები იყო, როგორც სიძვირისაგან დაჩაგრული კაცი ვარ და არც მყოფნის ჯამაგირი და მუდამ ვალში ვარ დამხჩვალი, თქვენ რო ეს მუშის კენჭიაო, და პირველი ნომერი დიდრების არიო, და ბალშევიკები ყოლისფერს შამეიტანებენო, მე როგორც გაუგებელი კაცი, გამაბრიყვეს და ჩამაგდებინეს ხუთი ნომერი და როდესაც დაწვრილებით გავიგე, რომ მე მეხუთე ნომერში ვყოფილვარ შეტანილი და ჩემთვის არ უკითხავს, არც ვიცოდი, და არც ვარ თანახმა, რადგანაც მე მენშევიკების პირველ ნომერს უჭერდი მხარს და დანაშაული არის ჩემ წინაშე ის კაცი, უჩემოთ სიაში შეუტანივარ ჩემ გაუგებლად. ბოდიშს ვიხდი ამხანაგების წინაშე სებისკვერაძე“—ო.

მე მგონია ამას კომენტარიები აღარ სჭირდება. სებისკვერაძე № 5 სიაში მესამე ადგილზე იყო. ასეთივე განცხადება შემოიტანა დავით ჯანჯღავამაც. ასეთი ოინებით აპირებდა მუნტიკოვი ყრილობაზე გასვლას, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. გალო ხელიანი.

## საზოგადოების საყურადღებოთ

უკვე მეორე წელიწადი სრულდება იმ დღიდან, როცა თავისუფალ საქართველოში, რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების ბრძოლის პროცესში აღმოცენდა დემოკრატიის ღვიძლი შვილი სახალხო გვარდია. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიას შემოესია მთელი რიგი მტრებისა, რომელნიც ცდილობდნენ თავისუფლება და მასთან ერთად რევოლიუციის მონაპოვარნიც დაესამარებიათ, მაგრამ სახალხო გვარდიამ შესძლო პასუხი გაეცა ყოველივე მხრივ და დემოკრატიას მოეხსენება თუ ვინ გაიმარჯვა. სულ რამოდენიმე დღე არის, რაც სოჭის ფრონტიდან დაბრუნდა დასასვენებლად სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადა. და რომ ეს დრო უმნიშვნელოთ არ დავკარგოთ და მოვახმაროთ გვარდიელთა სულიერ აღზრდას, გადავწყვიტეთ დავაარსოთ საკრებულო და სამკითხველო, სადაც სისტემატიურად უნდა ვაწარმოვოთ ლექციების კითხვა. სამკითხველოსათვის საჭიროა სხვა და სხვა წიგნები: პოლიტიკური, მეცნიერული, ბელეტრისტული და სხ.: ყოველივე ამის შეძენას დასჭირდებოდა დიდძალი ფული, უკანასკნელი კი სრულიად არ მოგვეპოვება.

ამისათვის, ვსთხოვ ყველას ვისაც აინტერესებს თავისუფალი საქართველოს არსებობა, რომ დაგვეხმაროს ამ ფრიად სიმპატიურ და საჭირო საკითხის განხორციელებაში შემოწირულების მხრივ, წიგნებით—ქართულ რუსულ და სომხურ ენებზე.

ყოველივე დახმარება ამ მხრივ უდიდესი მადლობით იქნება მიღებული.

შემოწირულება მიიღება: სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კანცელარიაში, სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადაში—ვერაზე და სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო დარგის სტუდენტთან ა. იძგვერაძესთან—უნივერსიტეტის ანატომიურ აუდიტორიაში.

პატივისცემით სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადის უფროსი კარგარეთელი.

P. S. ვსთხოვ „სახალხო საქმე“-ს რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს.

## ქუთაისის ექიმებს

ამხანაგებო! ამ წლის 1 ნოემბერს, (ახალი სტილით) დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის ექიმთა პროფესიონალური კავშირის წლიური კრება.

კრების საგანია: 1. მოხსენება კავშირის წლიური მოქმედების შესახებ, 2. ექიმები და ერობაში მათი სავალდებულო სამსახური, 3. ერობა და ექიმების უზრუნველყოფა, 4. ერობა, ექიმები და ფერშალთა საკითხი, 5. ჩვენ და პროფესიონალური ეთიკა, 6. ერობის სანიტარია, 7. ქალაქების სანიტარია, 8. ექიმები და სანიტარული გადასახადი, 9. ექიმები და სოფლის ჯარა ექიმები, 10. სიკვდილით დასჯა და ექიმები, 11. მოხსენება ადგილებიდან (ვთხოვთ ამხანაგებს თვისი შთაბეჭდილებანი კრებას გაუზიარონ), 12 სკოლის ექიმები, სასკოლო ჰიგიენა და ჰიგიენის სწავლება, 13. შავი სახადი (დაკვირვებანი), 14. სახადისაგან გადაცვლილ ამხანაგების ოჯახის უზრუნველყოფის საკითხი, 15. კავშირი და მეცნიერული მუშაობა, 16. კავშირი, თფილისის კავშირი და ფილიალები, 17. მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა და საწევრო გადასახადი, 18. პრეზიდიუმის არჩევნები.

ვთხოვთ ამხანაგ ექიმებს კრებას უკლებლივ დაესწრონ. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სამმა ამხანაგმა კრებაზე ერთი გამოგზავნონ. ჩამოსულებისათვის, ვინც ისაჭიროებს, ნაშოვნი იქნება ბინა და იაფი სადილი. კრება ს. ფ. პარტიულ კლუბში გაიმართება. პირველი კრება საღამოს 7 საათზე.

პრეზიდიუმი.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 22 ოქტომბერს, ამხ. გ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივისა და რაიონში მომუშავე მცირე კოლექტივების წევრთა გაერთიანებული სხდომა. სხდომას კოლექტივების წევრთა გარდა დაესწრო აგრეთვე ზოგიერთი მოწინავე ამხანაგი. სხდომაზე, საქართველოს ვალიუტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. თოფურიძემ. მომხსენებელმა თავის ვრცელ მოხსენებაში გააცნო დამსწრეთ საქართველოს ფინანსიური მდგომარეობა, განმარტა მნიშვნელობა ვალიუტისა და მთავრობის განზრახვა მის შესაძენათ. მოხსენების გათავების შემდეგ, მომხსენებელს დაუსვეს რამოდენიმე შეკითხვები. მომხსენებელმა ყველა შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა, რის შემდეგ მან წაუკითხა კრებას, დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის მიერ ამორჩეულ კომისიის შემუშავებული რეზოლიუცია ფრაქციაში წარსადგენად ამ კითხვის შესახებ. სხდომამ ერთხმად მიიღო ეს რეზოლიუცია.

23 ოქტომბერს, ამხ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობითვე შესდგა ამავე კოლექტივის მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 2) საფინანსო კომისიის მოხსენება, 3) ამხ. რ. ჩიხლაძის გარდაცვალების ნახევარი წლის თავის გამო, 4) საზოგადო კრების მოწვევა, 5) მოხსენება დავალებულთაგან, 6) მოხსენებანი ადგილებიდან, 7) პარტიის წევრთა განცხადება.

პირველი კითხვის შესახებ სხდომამ მოისმინა თფილისის კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება კომიტეტის უკანასკნელი დღეების მუშაობის შესახებ. საფინანსო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. ვადაჭკორია. ის აღნიშნავს კომისიის უკანასკნელი დღეების მუშაობას და ამბობს, რომ კომისიას აქვს განზრახვა ამ მოკლე ხანში გამართოს დიდი საღამო, რომლისათვისაც სათანადო მუშაობას აწარმოებს. სხდომამ მოხსენება მიიღო მხედველობაში და დაავალა კომისიას განაგრძოს მუშაობა. მესამე კითხვის შესახებ სხდომა ადგენს: 2 ნოემბერს, ამხ. რ. ჩიხლაძის გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, სასაფლაოზე დაინიშნოს სამოქალაქო პანაშვიდი, პანაშვიდზე კოლექტივის მხრივ სიტყვის თქმა ევალება ამხ. ს. ვადაჭკორიას. პანაშვიდის დღე გამოცხადებულ იქნას პარტიულ გაზეთებში და ეუწყოს დამფუძნებელ კრების ს. დ. ფრაქციას, რომ პანაშვიდის დღისთვის შეძენილ იქნას გადიდებული სურათი. მეოთხე კითხვის შესახებ სხდომა ადგენს: რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება მოწვეულ იქნას ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, კლუბის დარბაზში, რომელზედაც გაკეთებულ იქნება მოხსენება მიმდინარე მომენტზე და მოსმენილ იქნება კოლექტივის ხუთი თვის მუშაობის ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება. მომხსენებლის მოწვევა ევალება მდივანს. მეხუთე კითხვის შესახებ სხდომა ისმენს წინა სხდომაზე დავალებულთა მოხსენებას, რაიონში მყოფ წვრილ საწარმოო დაწესებულებებში მომუშავეთა შორის პარტიულ მუშაობის წარმოების შესახებ, იღებს მას მხედველობაში და ავალებს მათ განაგრძონ მუშაობა.. მეექვსე კითხვის შესახებ სხდომა ისმენს კოლექტივში მყოფ მცირე კოლექტივების წარმომადგენელთა მოხსენებას და ავალებს მათ აწარმოონ ენერგიული მუშაობა. უკანასკნელი კითხვის შესახებ, სხდომა ისმენს პარტიის რამოდენიმე წევრთა განცხადებას, მათი პარტიის წევრობის დადასტურების შესახებ; აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, სხდომა არ აკმაყოფილებს მათ თხოვნას და რამდენიმე წვრილმანი კითხვის განხილვის შემდეგ იხურება. შემდეგ ამხ. ს. ვადაჭკორიას თავმჯდომარეობით იხსნება საფინანსო კომისიის სხდომა. სხდომა იხილავს კითხვას განზრახულ წარმოდგენის შესახებ და მისი პროგრამის დეტალურათ შესამუშავებლად და სხვა მუშაობის საწარმოებლად ადგენს: კომისიაში მოწვეულ იქნენ ამხ. მ. რამიშვილისა, ა. ხომერიკისა, მ. მახვილაძისა, ფ. აბესაძისა, თ ნიკოლოსოვისა და ა. მეტრეველი. საფინანსო კომისიის ფართე სხდომა მოწვეულ იქნას კვირას, 26 ოქტომბერს, საღ. 5 საათზე, ბიუროს ბინაზე. მდივანი მ. ტუღუში.

## მუშათა შორის

თფილისი. საზაფხულო მუშათა კლუბში, „პროლეტ კულტის“ სექციის მიერ სისტემატიურად იმართებოდა წარმოდგენები. ხსენებულ სექციასთან მუშაობდა ორი წრე: ქართული და სომხური. ორივე წრეს მიზნათ ჰქონდა დასახული, რომ რეპერტუარში არ ქონოდა ადგილი ქუჩურ პიესებს, რომელთაც გარყვნილება შეაქვთ ხალხში.

ხსენებული ორგანიზაცია პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას მუშების წინაშე. ის არ ეწეოდა მუშებში ექსპლოატაციას, მას პრინციპიალურად დასახული ჰქონდა მიზნათ, ბილეთები რაც შეიძლება იაფ ფასებში გაეყიდა. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ბოლოს ხსენებული სექცია საგრძნობ დეფიციტს იძლევა.

დაევალა სარევიზიო კომისიას, რომ სასწრაფოდ მოეხდინა რევიზია, მაგრამ გავიდა დრო და რევიზია არ ხდება. რაშია საქმე? გამგეობა კი სდუმს...

7 სექტემბერს, საზაფხულო მუშათა კლუბში, ამავე სექციის ფონდის გასაძლიერებლად გაიმართა ინტერნაციონალური საღამო, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო. მაგრამ დღესაც არ ვიცით, თუ რამდენი დარჩა საღამოდან. პასუხისმგებელი პირები საქმეს აფუჩეჩებენ და სურთ დიდ წყლის მორევიდან დაუსველებელი გავიდენ სამშვიდობოზე.

რას მივაწეროთ გამგეობის უმოქმედობა? რას ნიშნავს სარევიზიო კომისიის სიჩუმე?

დასასრულ მე მოვითხოვ ბ-ნ არუთინოვისაგან და ბ. აგუნოვისაგან სასწრაფოდ გაგვაგებინონ ვის აბარია ფულები. საბუთებით გაგვაგებინონ, რამდენი დარჩა 7 სექტემბერს გამართულ საღამოდან.

პროფ. წევრი ელიზბარ თარგამაძე.

## პროვინცია

ქიზიყი. ჩვენი კუთხის სასიქადულოთ უნდა ითქვას, რომ აქამდის ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა უბრალოდ. ძმათა შორის სისხლის ღვრას ადგილი არა ჰქონია, თუმცა ბევრი მასალა იყო ჩვენში დაგროვილი, რომ ცეცხლი გასჩენოდა და გადაბუგულიყო მთელი კუთხე. მოწინავე ამხანაგების მიზან შეწონილმა მოქმედებამ და ფხიზელმა დარაჯობამ იხსნა ქიზიყი ანარქიისაგან. ხალხი ღირსეულად იცავდა რევოლიუციას და თავის საუკეთესო შვილებს აძლევდა მას ყოფნა არ ყოფნის ჟამს. ხალხის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებია, თუმცა დიდ პროვოკატორულ აგიტაციას აწარმოებდნენ და აწარმოებენ მოქიშპე პარტიები, მაგრამ მათდა სავაგლახოდ, ყოველთვის პირში ჩალა გამოვლებულნი რჩებოდნენ. ახლა კი, ვინაიდან მაზრაში დროებით პარტიული მუშაობა შესწყდა, არა სასიამოვნო ამბები ისმის ჩვენი სოფლებიდან. როგორც მოსალოდნელი იყო ანარქია აქაც იწყება. დემოკრატიის მტრები სოროებიდან გამოძვრნენ, იწყეს თავიანთი მუხანათური მოქმედება ჩამორჩენილ სოფლებში, სადაც ფანატიკოსი ხალხი სცხოვრობს, როგორც ირკვევა, საქმე თანდათან სერიოზულ ხასიათს ღებულობს და არ ვიცით აქაური ადმინისტრაცია რას ფიქრობს. საჭიროა სათავეშივე მიეცეთ პასუხი ამ ხალხის მტრებს, სანამ ჩვენი ხალხი პროვოკატორულ ქსელში გაებმება. ბალშევიკები დაძვრებიან ხალხში და ეწევიან აგიტაციას ხალხს ეუბნებიან, მენშევიკურმა მთავრობამ თავისი დრო მოსჭამა, მალე ყველგან აღიმართება საბჭოთა მთავრობა და ვაი იმათ, ვინც ახლა მხარს არ დაგვიჭერს, რომ რაც შეიძლება მალე მოვილოთ ბოლო „მდიდრების მთავრობასო“. ყველა გაჭირვებას, რომელსაც განიცდის დღეს ხალხი, ბალშევიკები ისე ნათლავენ, ვითომც მთავრობის ბრალი იყოს, რადგან მთავრობა ზრუნავს მხოლოდ ბონების მოჭრაზე, სხვაზე კი არაფერზეო. ჩვენში არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა რევოლიუციონური წესრიგი და მკიდრო ორგანიზაცია, როგორც დღეს. ჩვენი ხსნა მხოლოდ და მხოლოდ შეკავშირებას შეუძლიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ვითარდება ხოლმე სოფლებში ანარქია, რომელიც მოუტანს ჩვენს ხალხს განადგურებას არამცთუ ეკონომიურად, არამედ ფიზიკურადაც. მასთან ბრძოლა მორიგ საკითხად უნდა დაისვას სიღნაღის სამაზრო ერობაში. ყოველგვარ გამოსვლებს, რა სახითაც უნდა იყოს იგი, უნდა დაუპირდაპირდეს ჩვენი ორგანიზაციები, რომ ხალხი, რომელიც აქამდის შეგნებულად მისდევს ჩვენს მთავრობას არ გაორგულდეს. ანარქიის ნიშნები, რომელიც აქა იქ მოსჩანს ქიზიყის ხალხში, სათავეში უნდა ჩაიკლას, თორემ შემდეგ ძნელი იქნება მასთან ბრძოლა. მითუმეტეს ქიზიყში, როგორც შეუპოვარ და თავის ნათქვამს ხალხში. სიღნაღის ერობის პირდაპირი და დაუყოვნებლივი მოვალეობაა, გააძლიეროს რევოლიუციონური ორგანიზაციები, გააორკეცოს მათი მოქმედება, აამოძრაოს მთელი მაზრის გვარდია, ყაჩაღების—„ბალშევიკების“ წინააღმდეგ, რომ ხალხში ნდობა უფრო განამტკიცოს მთავრობამ უნდა იქნეს ამუშავებული ყველა ორგანიზაციები, განურჩევლათ რწმენისა და ერთი შეერთებული ძალით გაილაშქრონ ხალხის წესიერების დამრღვეველების წინააღმდეგ. მშრომელი ხალხის მოვალეობაა ალაგმოს ჩვენში ეს თავზე ხელ აღებული ავანტიურისტები, რომელთაც სურთ ძმის სისხლის მორევში გაისვარონ ხელები. ბრძოლა წესრიგის დამრღვევებთან, რომელთაც სურთ რეაქცია მიუტანონ თავისუფალ საქართველოს. განო ხირხელი.

ჭიათურა საჩხერის რაიონი (შორაპნის მაზრა). დათავდა ჭიათურის რაიონის, საჩხერისა და ქორეთის თემების არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სოც დემ., ეროვ.-დემ., სოც.-ფედ. და სოც. რევ. მიუხედავათ მრავალგვარი პროვოკაციისა, ჭორების და ცილისწამებისა, რომლებსაც აწარმოებდა ზოგიერთა პარტიების წარმომადგენლები, სოც. დემოკრ. ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. შედეგი ასეთია:

| | ს.-დ. | ე.-დ. | ს.-ფ. | ს.-რევ. |
|---|---|---|---|---|
| | № 1 | 2 | 3 | 4 |
| ჭიათურის თემში | 17 | 8 | 3 | 2 |
| კაცხის „ | 11 | 7 | 0 | 2 |
| წირქვალის „ | 15 | 2 | 3 | 2 |
| ხრეითის „ | 13 | 5 | 0 | 2 |
| ჩხერიალის „ | 18 | 2 | | |
| მერევის „ | 9 | 6 | 5 | |
| საჩხერის „ | 16 | 5 | 4 | 0 |
| ქორეთის „ | 15 | 5 | 4 | 1 |

ვ. კაპანაძე.

## წერ. რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი: 24 სექტემბერს გიორგი კაზიშვილი და მე დაგვატუსაღეს. ჩვენი დატუსაღება გაზეთებში იქნა გამოქვეყნებული, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგ ბრალდება სიმართლეს მოკლებული და გაუგებრობაზე აშენებული აღმოჩნდა, რის გამოც 12 ოქტომბერს გაგვანთავისუფლეს. იაზონ თუთარაული.

## ცნობები

ჩემი ძმა მეთოდე გიორგისძე, ვაშაკიძე ს. დიდი ჯიხაიშიდან, რომელიც მსახურობდა კამენეც-პოდოლსკში, მე 13 უკრაინის პოლკში, დაიკარგა უგზო უკვლოთ. მეხუთე წელიწადია იმის შესახებ ცნობები არა მაქვს. ვსთხოვ გერმანია-ავსტრია-უნგრეთიდან დაბრუნებულთ, თუ რამე იციან ჩემი ძმის შესახებ, მაცნობონ ს. დიდი-ჯიხაიში ვარლამ ვაშაკიძეს.

## განცხადებანი

წყნეთის ქ. ვაკემდე 22 ოქტომბერს

### დავკარგე

რედიკული, რომელშიაც იყო ტყავის საფულე 450 მან დე ფულით, თეთრი ბატისტის ქალის საყელო და ფოტოგრაფ კლარის კვიტანცია. მპოვნელს ვთხოვ, სხვა თუ არა, დამიბრუნოს საფულე, რომელიც ჩემი ძმის (ომში მოკლულ გვარდიელის) სახსოვარია. „ერთობის“ რედაქციაში: გ ქურიშვილს

### განცხადება

ქ. ოზურგეთში ენკენისთვის 15 რიცხვებში დავკარგე მოწმობა სტანისლავის ტარებისა № 1508, მოცემული საქციზო სამმართველოსაგან. მნახველს ვსთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით. ს. ასკანაში, კაპიტონ საყვარელის ძე ასათიანს. (2779—1—1)

## რვეულები

მოწაფეთათვის, საუკეთესო ქაღალდისაგან იყიდება ბითუმათ და ცალობით. მისამართი: ვორონცოვის ძეგლის ახლო, ვ. მალხაზიანის მაღაზია. (2752—10—2)

ექიმი ივ. ბოკერია

იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საკუთრო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ 2744)

კბილის ექიმი
მ. მ. ზიბაშრი-მხაკიძე

იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონხა.

ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

ექიმი ა. ლევინზონი

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჭლექის ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

დოქტორი როშმდიჩ ზაკარი.

სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაზერეჟნაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა [illegible] ბ. [illegible]

შინაგანი ავადმყოფობა. [illegible] ბის, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი დ. ი. ჟაშარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1ნახ. საათ. საღამოს 5—... საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმი ი. ხიჟაბაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარიის Opermeyer-ის სპიროხეტები და სხვ. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღის) ქუჩა. გაბაშვის შესახვევი № 3. საღამო მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი ზისარიონ კაკოზი

მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27

ექიმი დ. ვ. ჯაგანიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პრ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2661)

დოქტორი ი. ი. ბაშბურაშვილი.

სისხლის გამოკვლევა სიფილისზე (Wasserman-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიაზე, ... ზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახ. დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ- საღ. 5—... საათ. დიფტერიტზე მიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № ... ტელეფონი 16—82.

ექიმი ბ. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი ... დუღები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ... განოების სნეულებანი. ავადმყოფები მიღება ყოველ დღე დილის 8—11 საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ... ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი მ. მოდებაძე.

თვალის ავათმყოფობანი .ამორჩევა თვალებისა. მიღება 8—12 საათამდე საღ. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 3...

ექიმი ქალი რ. მ. [illegible]

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიული კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებ. სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—...

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ა. ი. ჭუთათელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვ... სა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი ა. დ. კვაჭაძე

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი ... ს. მიხეილის პროს. საცხოვრ. „ნომ... პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

## დუშეთის სამაზრო ერობა იწვევს

სახალხო სკოლების ინსტრუქტორებს და გამოცდილ სახალხო სკოლების მასწავლებლებს. ინსტრუქტორებს ექნება თვიურად ჯამაგირი 3000 მანეთი და სახალხო სკოლების მასწავლებლებს 1500 მანეთი. საჭიროა თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ იქნეს სათანადო დოკუმენტები და „კურიკულიუმ ვიტე“. (2781—1—1)

თფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ ოქტომბრის ... დილის 10 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ხსენებული საზოგადოების წევრთა

## არაჩვეულებრივი საზოგადო კრება

დღის წესრიგში დასმულია: 1) საკითხი მოხელეთა ეკონომიური საზოგადოების ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებასთან შეერთების შესახებ და 2) მიმდინარე კითხვები. თუ პირველი კრება დანიშნულ დროს არ შესდგა ქვორუმის უქონლობის გამო, მეორე კრება გაიხსნება ერთი საათის შემდეგ და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. (2771—1—1) გამგეობა

## ქართულ ლატარიის გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ლატარიის გათამაშება სდგება 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში ბილეთი ღირს—25 მან., კუპონი 5 მან. პირველი მოგება 100,000 მან. მეორე მოგება 50,000 მან. გამგეობის კანტორა ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა (ყოფილი სასახლის ქ.) № 5, ტელეფონი 7—61.

(6. 8—...